ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 5 აგვისტო, 2015 №181 (6801) ფასი: 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 აგვისტოდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული დეტექტივი

სამხილი „მარლბოროს“ კოლოფზე

ტომი 11

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




# „ქართულ ოცნებაში“ დიდი წმენდა და დაპირისპირება იწყება



## რატომ შეიკრიბა პარტიის პოლიტსაბჭო

— გვ. 4 —



## ლაშა ჩხარტიშვილი: „ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებმა იმატა“

გვ.2



რატომ ფერხდება ხარძიანისა და ვაზაგაშვილის საქმეების გამოძიება

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

ყურადღება!

სახელმწიფო მულტიპლექსისთვის მინიჭებული ციფრული მიწისზედა მაუწყებლობისთვის განკუთვნილი დროებითი სიხშირული რესურსი მუდმივი სიხშირეებით იცვლება.

მიმდინარე წლის 6-7 აგვისტოს ბოლნისსა და წალკაში ციფრულ სატელევიზიო მიმღებ აპარატურაზე ძებნის რეჟიმის გააქტიურების შედეგად გადაცემების ხილვა შესაძლებელი იქნება **618 მჰც** სიხშირეზე, ხოლო საჩხერეში, ჭიათურასა და ტყიბულში – **578 მჰც** სიხშირეზე.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს **digitaltv.ge** ან დარეკეთ ცხელ ხაზზე: **1480**

## გია კორკოტაშვილი: „პროკურატურისთვის მიცემული ვადა იწურება“



გვ.3



რით იმუქრებიან არასამთავრობოები



გვ.6

## რა სახის ხარვეზებია ტურიზმის სფეროში

მიხეილ თოქმაზიშვილი: „საოჯახო სასტუმროები მისახედია“

## მარინე ჩიტაშვილი: „ჩვენი ძირითადი ამოცანა კვლევების ხარისხი და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში სწრაფად ინტეგრირებაა“

— გვ. 7 —

## ელიავაზე ხანძრის ჩასაქრობად ვერტმფრენი გამოიყენეს

გვ.4

ISSN 1987-9385

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლაშა ჩხარტიშვილი: „ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებმა იმატა"

## რატომ ფერხდება ხარძიანისა და ვაზაგაშვილის საქმეების გამოძიება



ნონა ცაბაძე

**ირღვევა თუ არა საქართველოში ადამიანის უფლებები? რა ნიშნით ირჩევს შეწყალების კომისია შესაწყალებელ პატიმრებს? რატომ არ შეიწყალა პრეზიდენტმა ოთხი შვილის დედა თეა სირაძე? რატომ დაიწყო ამ მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება? – ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობას" „დემოკრატიული ინსტიტუტის" ხელმძღვანელი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი პასუხობს.**

*– ლაშა, როგორც ცნობილია, თქვენ ხელმოწერების შეგროვება დაიწყეთ და ერთ-ერთი ქალი პატიმრის შეწყალებას ითხოვთ. აკაკი ბობოხიძის ძმის შეწყალებას საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა საზოგადოებაში. რამდენად სწორად მიმდინარეობს პატიმრების შერჩევა და რა კრიტერიუმებით არჩევენ შესაწყალებელ პატიმრებს?*

– ბოლომდე გაურკვეველი რჩება, თუ რა პრინციპებით ხელმძღვანელობს და რამდენად კორექტულად და პრინციპულად იქცევა შეწყალების კომისია, რომლის რეკომენდაციებს შემდეგ ეყრდნობა ხოლმე პრეზიდენტი. არიან პატიმრები, რომლებსაც აბსოლუტურად არაადეკვატური სასჯელი აქვთ მისჯილი. ქალები უფრო იშვიათად ხდებიან შეწყალებულთა სიაში, ვიდრე მამაკაცები და ეს საკმაოდ უცნაური გარემოებაა. ეს ყველაფერი გაურკვეველია და ბევრ კითხვას ბადებს. თეა სირაძის პატიმრობა ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ამისა.

*– რამდენი წელი აქვს მისჯილი?*

– ამ ადამიანს 28 წელი ჰქონდა მისჯილი. რა დანაშაულიც მას ბრალდება, გაუგებარია, 28 წელი როგორ გამოვიდა, იმ დროს, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ ბაჩო ახალაიას ციხის ბუნტთან დაკავშირებული დანაშაულისათვის მიუსაჯეს 5 წელი, სადაც, ოფიციალური მონაცემებით, 7 ადამიანი დაიღუპა. თუმცა ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ 21 ადამიანი დაიღუპა. ამას უსამართლობის ზეიმი შეიძლება დაერქვას, რომ ახალაიას ჰქონდეს 5 წელი, ხოლო თეა სირაძეს – ადამიანების ცემისთვის 28 წელი.

*– ხომ შეუმცირდა ეს სასჯელი?*

– მართალია, შეუმცირდა, თუმცა, ვფიქრობ, მან საკმარისად მოიხადა საპატიმრო ვადა საიმისოდ, რომ ის იყოს გათავისუფლებული. თეა სირაძე არ გახლავთ გამონაკლისი, ასეთ მდგომარეობაში ბევრი ადამიანია, რომლებსაც საკმაოდ მსუბუქი დანაშაული აქვთ ჩადენილი და სასჯელი აქვთ არაადეკვატურად მკაცრი. ვიცით, რომ ადრე შეკრებითობის პრინციპი მოქმედებდა და ეს პატიმრობის პერიოდი კოლოსალურ ვადებს აღწევდა. თეა სირაძე ნამდვილად იმსახურებს შეწყალებას და ჩვენ ამისათვის ვიბრძოლებთ ბოლომდე. მოვამზადეთ პეტიცია, ვავრცელებთ მას, საკმაოდ აქტიურია საზოგადოება. გარკვეული რაოდენობის ხელმოწერები რომ შეგროვდება, მივმართავთ პრეზიდენტ მარგველაშვილს, კიდევ ერთხელ განიხილოს მისმა კომისიამ თეა სირაძის საქმე და იმედია, ამჯერად მაინც იქნება ეს კომისია ადეკვატური.

*– ადრეც მიმართეთ და უარი გეთქვათ?*

– დიახ. ეს საქმე ერთხელ უკვე იყო განხილული და სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო უარი ეთქვა ამ ადამიანს გათავისუფლებაზე, როცა, მაგალითად, იგივე ავადსახსენებელი ბობოხიძის ძმა ძალიან მარტივად შეიწყალეს.

*– რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ შეწყალებისას?*

– როგორც კომისია აცხადებს, პატიმრების საქმის განხილვა არის კონფიდენციალური. აქედან გამომდინარე, მათი არგუმენტები, მსჯელობა და გადაწყვეტილებების დასაბუთება უცნობია და, ალბათ, უცნობი დარჩება. ეს საკითხი მოითხოვს კიდევ უფრო დეტალურ შესწავლასა და დამატებით რეგულაციებს, რომელიც უფრო ადეკვატურს გახდის ამ კომისიის საქმიანობას, ვიდრე დღეს არის.

*– თქვენ ბაჩო ახალაია ახსენეთ და ვრცელდება კულუარული ინფორმაციები, რომ პრეზიდენტი ახალაიასა და მერაბიშვილის შეწყალებასაც გეგმავს.*

– მე არ მგონია, რომ ეს მოხდეს. ვფიქრობ, გიორგი მარგველაშვილს არ შეუცვლია თავისი პრინციპები და, დარწმუნებული ვარ, კარგად ახსოვს, ვინ არის ბაჩო ახალაია და ვინ არის ვანო მერაბიშვილი. მჯერა, ის ამას არ გააკეთებს, არც მორალური პრინციპების გამო და არც სამართლებრივი საკითხების გათვალისწინებით. იმედი მაქვს, ამაზე არც კი იქნება ნაფიქრი და ნამსჯელი, რადგან ამ ადამიანებს არა შეწყალება, არამედ გაცილებით დიდი სასჯელი ეკუთვნით, ვიდრე დღეს აქვთ. მათ ჩადენილი აქვთ უამრავი დანაშაული, რომელთა ჩადენის შედეგად ბევრი ადამიანის სიცოცხლე მოისპო, სხვა თუ არაფერი.

*– მათ შეწყალებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვება საზოგადოებაში?*

– დარწმუნებული ვარ, ამაზე არც კი იფიქრებს მარგველაშვილი. იმედი მაქვს, ეს არ მოხდება და მხოლოდ ჭორებია.

**ადამიანის უფლებების მხრივ დღეს სიტუაცია თანდათანობით მძიმდება. ბოლო თვეების განმავლობაში მოხშირდა ძალადობა პოლიციელების მხრიდან, ასევე – ძალოვან სტრუქტურებში.**

*– დღეს რამდენად არის დაცული ადამიანის უფლებები? ამის თაობაზე რისი თქმა შეგიძლიათ?*





– ადამიანის უფლებების მხრივ დღეს სიტუაცია თანდათანობით მძიმდება. ბოლო თვეების განმავლობაში მოხშირდა ძალადობა პოლიციელების მხრიდან, ასევე – ძალოვან სტრუქტურებში. რასაკვირველია, ძალიან შორს ვართ იმისგან, სადაც ვცხოვრობდით, ლეგალური კრიმინალის ჯოჯოხეთში, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ემყარებოდა. თუმცა, თუკი დროული რეაგირება არ იქნება სახელმწიფოს მხრიდან, პირველ რიგში, სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილ დანაშაულებზე, მაშინ შეიძლება მალე დავბრუნდეთ სააკაშვილისეულ ძალადობაზე დაყრდნობილ სისტემაში, რაც დაუშვებელია, არადა, ამის გარკვეული ნიშნები უკვე აშკარაა.

*– რას გულისხმობთ?*

– ჩვენ ვხედავთ, რომ არნახული ძალისხმევა სჭირდებათ მოქალაქეებს, რათა საკუთარი უფლებები დაიცვან. სახელმწიფოს მხრიდან კი აქტიური მონაწილეობა ამ პროცესში არ იკვეთება. თუ დაზარალებულმა ყველანაირად არ გადადო თავი, თუ მაქსიმალურად არ მოინდომა, ადვოკატთა არმია თუ არ ჩართო, როგორც წესი, ის დაუცველი რჩება. არადა, წესითა და რიგით, სახელმწიფო უნდა იყოს პირველი გარანტი და ამდენ ძალისხმევას არ უნდა მოითხოვდეს ადამიანისაგან ელემენტარული ჭეშმარიტებისა და საკუთარი უფლებების დაცვა. მე გაგახსენებთ კიკიანის შემთხვევას.

*– რატომ, ის ხომ აღიარეს დაზარალებულად?*

– რის ფასად?! რომ არა ამ ადამიანის თავდადებული ბრძოლა საკუთარი უფლებებისათვის და იგივე არასამთავრობოების ჩართულობა, მას დღეების განმავლობაში აცხადებდნენ პროვოკატორად. არადა, ის დაზარალებულად ცნეს და მართლაც იყო პოლიციის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი. ასევე ბაბაიანისა და ოგანეზოვის საქმეზე მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ შევძელით, მიგვეღწია წარმატებისთვის. მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს ისინი უკანონო პატიმრობიდან, რაც ჩვენ აქტიურად ჩავერთეთ ამ პროცესში და გავახმაურეთ ის დანაშაულები, რომლებიც ჩადენილი ჰქონდათ პოლიციელებს.

*– ხშირია დღეს პოლიციელების მხრიდან ძალადობის ფაქტები და ადამიანის უფლებების დარღვევები ან უკანონო პატიმრობები?*

– ბოლო დროს გახშირდა და ეს არის შედეგი ორი რამისა და ამ ორივე მოვლენას შეიძლება ერთი სახელი დაერქვას. ეს არის დაუსჯელობის სინდრომი და სამართლიანობის პროცესის აღდგენის შეჩერება. აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ძალადობა კვლავ ბრუნდება სახელმწიფო სტრუქტურებში, სამართალდამცველების საქმიანობაში, ეს იმიტომ, რომ სააკაშვილის რეჟიმის მოძალადეთა, მკვლელთა ერთი ნაწილი კვლავ თავისუფალია და, სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი დღესაც თანამდებობას იკავებს იმ სტრუქტურებში, რომელიც ჩვენი უფლებების დამცველი უნდა იყოს. იმის მაგივრად, რომ ეს ადამიანები სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ ან უფლებამოსილება შეეჩერებინათ გამოძიების დასრულებამდე, მათ აწინაურებენ და ცივ ნიავს არ აკარებენ! ეს ყველაფერი კი ახალისებს ახალ დანაშაულს. ძველთა დაუსჯელობა აუცილებლად შობს ახალ დანაშაულს. ეს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, რომელიც მუშაობს ყველგან და ყოველთვის.

*– ეს არის სიტუაციის დამძიმების მიზეზი?*

– სწორედ ამის გამოა, რომ სიტუაცია თანდათანობით მძიმდება. ეს სულ უფრო და უფრო მძიმე სურათს მოგვცემს. შესაძლოა, მალე დავუახლოვდეთ სააკაშვილის რეჟიმს, რაც ქვეყნისთვის ტრაგედია იქნება! იგივე იური ვაზაგაშვილის მკვლელობა იყო ამის ნათელი მაგალითი. აი, რა მოგვიტანა დაუსჯელობამ და კოჰაბიტაციამ! ერთხელ და სამუდამოდ ყველამ პასუხი უნდა აგოს საკუთარ დანაშაულზე.

*– თქვენვე ახსენეთ იური ვაზაგაშვილი და რა ხდება ამ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით? რატომ მიყუჩდა გამოძიება?*

– თითქმის არაფერიც არ ხდება! ეს პროცესი იწელება უსასრულოდ. საქმე გვაქვს არაეფექტურ გამოძიებასთან. ვაზაგაშვილის შემთხვევაში მხოლოდ შემსრულებელია დაკავებული და დამკვეთზე ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ მინიშნებას. ამ გამოწვევას პროკურატურამ ვერ უპასუხა. ხარძიანს რაც შეეხება, იქ ხომ საერთოდ ჩამიჩუმიც არ ისმის. არადა, თავიდან საკმაოდ ხმაურიანი განცხადებები გაკეთდა იმავე უდესიანის მონაწილეობაზე და, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის ამ საქმეში მართლაც მონაწილეობდა. დროა, შეწყდეს რეალური დამნაშავეების მფარველობა. საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს ის დანაშაულები, რომელიც წლების განმავლობაში ხდებოდა საქართველოში. ჩვენ ძალიან ბევრი ინიციატივები გვაქვს და მალე გამოვალთ ამ ინიციატივებით საზოგადოების წინაშე. სასჯელაღსრულების სისტემაში აუცილებლად უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოები. ბევრი ინიციატივა გვაქვს, ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი საიმისოდ, რომ ჩვენ ვიყოთ უსაფრთხოდ და ჩვენთვის საფრთხეს არ წარმოადგენდეს პოლიცია, რომელიც, წესით, უნდა გვიცავდეს.

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელს, ელჩ კიასტუტის იანკაუსკასს შეხვდა.

მხარეებმა ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ვითარებასა და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურს შსს-ს მინისტრობის პერიოდში უწყებასა და მისიას შორის ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ორმხრივ ფორმატში ანალოგიური წარმატებული კოოპერაცია მისი, უკვე როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის რანგში ყოფნისასაც გაგრძელდება.

თავის მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა თანამშრომლობის მნიშვნელობას და ურთიერთკოოპერაციის გაღრმავებისა და განვითარების მზადყოფნა გამოხატა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გია კორკოტაშვილი: „პროკურატურისთვის მიცემული ვადა იწურება"

## რით იმუქრებიან არასამთავრობოები

შორენა მარსაგიშვილი

ჩა მოთხოვნით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა პროკურატურას, ვინ ზის პარლამენტში დამსახურებულად, იყრის თუ არა მაჟორიტარულ კენჭს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული მისიის" ლიდერი გია კორკოტაშვილი ესაუბრება.

*– ბატონო გია, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საგარეჯოს მაჟორიტარად აპირებთ კენჭისყრას. მართალია ეს ინფორმაცია?*

– ამასთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. სანამ რამეს გადავწყვეტ, მოსახლეობასთან ვაპირებ შეხვედრასა და ლაპარაკს.

*– რაზე უნდა ელაპარაკოთ?*

– მაინტერესებს მათი აზრი. იქნებ არ უნდათ ჩემნაირი მაჟორიტარი. გავიგებ მათ აზრს და მერე მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას. დღეს მაჟორიტარებს კარგი სახელი არა აქვთ. პარლამენტში ბევრია ისეთი მაჟორიტარი, რომლებსაც საერთოდ არ ახსოვთ ის ხალხი, ვინც მათ ხმა მისცა. მათი ასეთი დამოკიდებულება იმის ბრალია, რომ ხალხმა ისინი დაუმსახურებლად აირჩია. მათ უმეტესობას ამომრჩეველმა ბიძინა ივანიშვილის ხათრით მისცა ხმა.

*– თავადაც ამბობთ, დღეს მაჟორიტარებს კარგი სახელი არა აქვთო. ასე თუ ფიქრობთ, რატომ გინდათ მაჟორიტარობა, არ გეშინიათ, რომ ხალხის სიყვარულს დაკარგავთ?*

– პოლიტიკაში წასვლა ჩემი იდეაფიქსი არ გახლავთ. რაღაც პროცესებში აქტიურად ვიყავი ჩართული და პოლიტიკაში წასვლა ნებისმიერ დროს შემეძლო, მაგრამ არ წავედი.

*– ახლა რატომ მიდიხართ პოლიტიკაში?*

– ხანდახან ისე ხდება, რომ პროცესების შორიდან ყურება აღარ გამოდის. ზოგიერთი ისე თავხედურად ზის პარლამენტში, რომ ამის ატანა აღარ შეიძლება.

*– ხალხის სიყვარულს არ დაკარგავთ?*

– რატომ უნდა დავკარგო? ადამიანი ან ხარ, ან არა ხარ. დეპუტატად არც იბადება ვინმე და არც კვდება. პოლიტიკა ბევრს უფუჭებს სახელს. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე პოლიტიკა სიბინძურისა და ფულის კეთების ადგილად იქცა.

*– პოლიტიკა ზოგადად ბინძურია.*

– ქართული პოლიტიკა ძალიან დაბინძურდა, რასაც თავისი მიზეზები აქვს. იქნებ დადგა დრო, ძველი სახეები წარსულს ჩავაბაროთ.

*– ძველ სახეებში ვის გულისხმობთ?*

– იმ ხალხს, რომლებიც ერთსა და იმავე მოედანზე სხვადასხვა მაისურით თამაშობენ. მგონი, დადგა დრო, ამ ტიპის ხალხი ახალი სისხლით ჩავანაცვლოთ.

**პროკურატურა ძალიან ნელი ტემპით მუშაობს. სამართლიანობის აღდგენის პროცესი ვერაფრით დაიწყო. ამ უწყების მუშაობით მოსახლეობა უკმაყოფილოა და უსამართლობის შეგრძნება გაუჩნდა. ასე ვართ ჩვენც და ამის წინააღმდეგ აუცილებლად გავილაშქრებთ. ასევე უნდა გავილაშქროთ იმ ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც სამართალდამცავ სტრუქტურებში არიან ჩარჩენილი.**





*– საგარეჯოს მაჟორიტარობისთვის ბრძოლას ირმა ინაშვილიც აპირებს. თქვენ და ირმა მეგობრები ხართ და ეს უხერხულობას ხომ არ გამოიწვევს?*

– ირმა ინაშვილი და მთელი „პატრიოტთა ალიანსი" ჩემი მეგობრები არიან. რაღაცის, მათ შორის დეპუტატის მანდატის გულისთვის ერთმანეთს არ ვაწყენინებთ. დავილაპარაკებთ და ასე მივიღებთ გადაწყვეტილებას. ისე ნამდვილად არ მოვიქცევით, რომ ნაციონალებს სახარხაროდ ჰქონდეთ საქმე.

*– თქვენი „ქართული მისია" რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად საქართველოს რეგიონებში დადიოდა. არაერთხელ თქვით, რომ სწავლობთ ადგილებზე არსებულ ინფორმაციებს და დასკვნებსაც დადებთ. დასკვნები ჯერ არ ჩანს. გადაიფიქრეთ თუ რა ხდება?*

– არაფერი არ გადაგვიფიქრებია და არც დასკვნის გამოქვეყნება დაგვიანებულა. ჩვენ ჯერ მასალების შეგროვების პროცესში ვართ. ისეთი მასალები დაგვიგროვდა, რომ მისი გამოქვეყნება ვილაცებს ძალიან ეწყინებათ. ახლა ამ მასალებს იურიდიულად ვჩარხავთ, ფორმაში მოვიყვანთ და მალე დასკვნის სახით გაახლებთ. ყველა ნახავს, ვინ სად და რას აკეთებს.

სკანდალური მასალების შეგროვების გამო დაგვიპირისპირდა ნინოწმინდის გამგებელი კარსლიანი. ის ამტკიცებდა, თითქოს მისგან 50.000 დოლარი მოვითხოვეთ. მერე რაღაცეები გადათქვა, მაგრამ ეს მას აღარ უშველის.

*– რა გადათქვა?*

– თავიდან ამბობდა, თითქოს მეც მოვთხოვე ფული. მერე მე აღარ ვუხსენებივარ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ჩვენ პროკურატურაში შევიტანეთ სარჩელი და, თუ ამ უწყებამ სათანადო სვლები არ გააკეთა, სერიოზულ პროტესტს გამოვხატავთ. მთელმა საქართველომ უნდა შეიგნოს, რომ ადამიანისთვის ტყუილის დაბრალება ასე უბრალოდ არ ჩაივლის. დასასჯელი უნდა დაისაჯოს.

*– პროკურატურაში რა ტიპის სარჩელი გაქვთ შეტანილი, გამგებელს ცილისწამებისთვის უჩივით?*

– სარჩელი რამდენიმე პუნქტისგან შედგება. სარჩელის შეტანიდან 10 დღე უკვე გავიდა. პროკურატურაში, ალბათ, დღეს-ხვალ მივალთ, გავიკითხავთ, ვის დააწერეს ეს საქმე და რა ეტაპზეა გამოძიება. თუ არ მოგვეწონა ტემპი, პროტესტის გამოხატვას წინ არაფერი უდგას.

*– პროკურატურის წინააღმდეგ აქციის მოწყობას აპირებთ?*

– რა არ შეიძლება? ამ უწყების მიმართ ისედაც უნდა გამოგვეხატა პროტესტი.

*– ისედაც რატომ?*

– პროკურატურა ძალიან ნელი ტემპით მუშაობს. სამართლიანობის აღდგენის პროცესი ვერაფრით ვერ დაიწყო. ამ უწყების მუშაობით მოსახლეობა უკმაყოფილოა და უსამართლობის შეგრძნება გაუჩნდა. ასე ვართ ჩვენც და ამის წინააღმდეგ აუცილებლად გავილაშქრებთ. ასევე უნდა გავილაშქროთ იმ ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც სამართალდამცავ სტრუქტურებში არიან ჩარჩენილი.

რამდენიმე დღის წინ გიორგი მღებრიშვილი, ვახტანგ გომელაური და კახა კახიშვილი დაინიშნნენ ახალ თანამდებობებზე. ეს ის ხალხია, ვინც თავდაუზოგავად მუშაობს, მაგრამ მათი გარემოცვა არ არის სათანადო სიმაღლეზე. ჩვენ ამათაც შევუფითილებთ. ჩვენ არავისთან მოფერებას არ ვაპირებთ, ამ ქვეყანას დასაკარგი დრო აღარ აქვს. ვინც ქვეყანას აშენებს, ვინც არ უნდა იყოს, მას გვერდით დავუდგებით, ქვეყნისთვის მავნებლებს კი გამოვამზეურებთ.

*– ქვეყანას ვინც აშენებს, ვინც არ უნდა იყოს, გვერდით დავუდგებიო და ნაციონალების გვერდითაც დადგებით? ისინი სულ იმას ამტკიცებენ, რომ ქვეყანას აშენებდნენ.*

– ნაციონალები რასაც აშენებდნენ, ყველაფერს კარგად დაეტყო. ეგენიც ჩემი ქვეყნის შვილები არიან, მაგრამ მაგათზე კარგი როგორ უნდა ვთქვა ან გვერდით როგორ დავუდგე? მაგათი წყალობით ის 10 წელი, ფაქტობრივად, არ მიცხოვრია. სულ იმის შიშში ვიყავი, რომ ან მე დამიჭერდნენ, ან ჩემი ოჯახის წევრებს.

ეს ნაციონალები ბოლო დროს ძალიან გააქტიურდნენ და ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებს აკეთებენ. მათი გაცოცხლება, ხელისუფლებასთან ერთად, ხალხის ბრალიც არის.

*– ხელისუფლება გასაგებია, მაგრამ ხალხი რა შუაშია?*

– ჩვენი ხალხი, სამწუხაროდ, გულმავიწყი გახდა, აღარ ახსოვთ ან შეგნებულად არ იხსენებენ იმას, რაც იმ წლებში ხდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაციონალები ასე ხმამაღლა არ უნდა ლაპარაკობდნენ. სასაცილო არ არის, ეგენი რომ ვინმეს რუსეთის აგენტობას დააბრალებენ? თავად გადასცეს რუსებს ყველა სტრატეგიული ობიექტი, უბრძოლველად დაუთმეს ტერიტორიები და ვითომ არაფერი.

ეს ნაციონალები იმდენსაც ბედავენ, რომ ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნას სდებენ ბრალად. არადა, ეგენი არ იყვნენ, 300.000 ადამიანი პრობაციონერად რომ აქციეს? ეგენი არ იყვნენ, ხალხს ციხეებში რომ გადააფორმებინეს ქონება? ეგენი ხმას ვერ უნდა ილებდნენ, მაგრამ ქართველებს, როგორც უკვე გითხარით, გულმავიწყობა დასჩემდათ.

# გიორგი მღებრიშვილი შს მინისტრის მოვალეობის შესრულებას შეუდგა



გიორგი მღებრიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. შინაგან საქმეთა მინისტრს სამინისტროში მისი წინამორბედი, ამჟამად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური დახვდა და წარმატებები უსურვა.

**ვახტანგ გომელაური:**

– მე მინდა, ბატონ გიორგი მღებრიშვილს მივულოცო ამ თანამდებობაზე დანიშვნა. ის მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და, დარწმუნებული ვარ, წარმატებული იქნება ისევე, როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში მან ძალიან ბევრი გააკეთა. ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებულია რეფორმები. ჩვენ 2012 წლიდან დავიწყეთ რეფორმები და ვაგრძელებთ იმ გეგმას გეგმურად. რა თქმა უნდა, ირაკლიმ დაიწყო, შემდეგ ბატონმა ლექსომ გააგრძელა, მეც, რა თქმა უნდა, მივყვები ამ გეგმას და, დარწმუნებული ვარ, უკეთესად იქნება გაკეთებული ეს ყველაფერი, ექნებათ სიახლეები, ასევე საპატრულო პოლიციაში, თქვენ ნახავთ, ასევე სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებში. მე ვფიქრობ, რომ წარმატებული მინისტრი იქნება ბატონი გოგა.

შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა უახლოეს გეგმებსა და მთავარ პრიორიტეტებზე ისაუბრა.

**გიორგი მღებრიშვილი:**

– პირველ რიგში მე, ალბათ, დეტალურ ანალიზს გავაკეთებ სისტემაში არსებული ვითარებისა და მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება გითხრათ პრიორიტეტების შესახებ, მაგრამ ერთი მთავარი პრიორიტეტი რაც არის, ეს არის ის, რომ მაქსიმალურად უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი მცხოვრებლების უსაფრთხო გარემო.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, შესაძლოა, მოხდეს გარკვეული გადაადგილებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე დაემშვიდობება თავის თანამდებობას. შეიძლება მოხდეს გადაადგილებები, მაგრამ ამის შესახებ წინასწარ ვერ გეტყვით. ისევ და ისევ გეტყვით, რომ დეტალური ანალიზის საფუძველზე იქნება ეს გადაწყვეტილებები მიღებული. თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო ჩადენილ დანაშაულებზე უმკაცრესი რეაგირება იქნება, ისევე, როგორც უშეღავათო ბრძოლა იქნება გამოცხადებული კრიმინალის წინააღმდეგ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# პოლიციამ რუსთავში ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი, თბილისში მცხოვრები გაიან გ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე 0,028 გრამი ჰეროინი უკანონოდ გაასაღა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

2015, 5 აგვისტო, №181

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქართულ ოცნებაში" დიდი წმენდა და დაპირისპირება იწყება

შორენა მარსაგიშვილი

**საპარლამენტო არჩევნების მოახლოებამ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოც" გამოაფხიზლა. ისინი საარჩევნო რეჟიმზე გადადიან და ხალხის განწყობის გაცნობის მიზნით მთელი საქართველოს შემოვლას აპირებენ.**





ხალხთან გასაუბრების გარდა, მეოცნებეები რაიონებში ორგანიზაციების ახალ თავმჯდომარეებსაც აირჩევენ. დღევანდელი თავმჯდომარეების უმეტესობა არაფერს აკეთებს. ბევრ რაიონში „ქართული ოცნების" პარტიული ოფისის კარი თვეებია, არ გაღებულა.

ქვეყნის შემოვლის გადაწყვეტილება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღეს, რომელიც 3 აგვისტოს გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ რეგიონებში ვითარების გამოსწორების გადაწყვეტილება პოლიტსაბჭომ ადრეც მიიღო, თუმცა, რიგი მიზეზების გამო, მისი განხორციელება ვერ მოხერხდა.

ახლა სხვა გზა, უბრალოდ, არა აქვთ, არჩევნები კარს მოადგათ და აქტიურობის გარეშე არაფერი გამოუვათ, მით უმეტეს, რომ მათზე ბიძინა ივანიშვილიც გაბრაზებულია. ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე კი მეოცნებეთა უმრავლესობა პარლამენტს სათოფე მანძილზეც ვერ მიუახლოვდება.

დეპუტატების მიმართ უკმაყოფილებას ყოფილი პრემიერი უკვე ღიად გამოხატავს. მისი განცხადებით, მომავალ არჩევნებზე საარჩევნო სია სრულიად განსხვავებული იქნება.

ახალი სახეების მოძიება „ქართული ოცნების" პირველ პირებს უკვე დაწყებული აქვთ. როგორც ამბობენ, ამჯერად აქცენტი პროფესიონალებზე გაკეთდება.

საარჩევნო სიაში სპორტსმენები, სავარაუდოდ, ველარ მოხვდებიან, არადა, ისინიც თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. რამდენიმე მათგანის მიმართ ბიძინა ივანიშვილი აშკარად დადებითად არის განწყობილი და დიდი შანსია, მათ ისევ აუნთონ მწვანე შუქი.

მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდება მაჟორიტარულ ფრონტზეც. როგორც ამბობენ, მაჟორიტარების 80% შეიცვლება.

სანამ მაჟორიტარებს საბოლოო განაჩენს გამოუტანენ, მანამდე რაიონების მოსახლეობას მოუსმენენ. რაიონებში ხალხის მოსასმენად ხალხი ამ ზამთარსაც გაგზავნეს.

„ქართული ოცნების" პირველმა პირებმა ხალხის განწყობის გასაგებად რაიონებში ისევ მაჟორიტარები გააგზავნეს, ოღონდ – სხვა რაიონების მაჟორიტარები.

რა განწყობით დაბრუნდნენ ისინი რეგიონებიდან, არავინ იცის. საზოგადოებისთვის მხოლოდ ტყიბულის ამბავი გახდა ცნობილი, ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ მოქმედმა მაჟორიტარმა ატეხა ამბავი.

ელისო ჩაფიძის მუშაობის შესამოწმებლად ტყიბულში რატომღაც ყაზბეგისა და დუშეთის მაჟორიტარები გააგზავნეს. როგორც მოგვიანებით ჩაფიძემ განაცხადა, დუშეთის მაჟორიტარი ირაკლი ტრიპოლსკი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ მომდევნო არჩევნებში ტყიბულის რაიონს სხვა მაჟორიტარი ეყოლებოდა.

ამის გამო ფრაქციის სხდომაზე დიდი გარჩევაც მოხდა. ელისო ჩაფიძე პარტიის დატოვებითაც დაიმუქრა.

ჩაფიძის გარდა, შავ სიაში კიდევ ბევრი მაჟორიტარი მოხვდა. არჩევნებში მონაწილეობას, სავარაუდოდ, ველარც ე.წ. მილიონერი დეპუტატები მიიღებენ. ბიძინა ივანიშვილმა მათ პირდაპირ უთხრა, რომ პარლამენტს უნდა შეეშვან და ბიზნესს მიხედონ.

რეგიონებში გასვლას „ქართული ოცნება" საშემოდგომოდ დაიწყებს, ადგილზე სიტუაციის გაცნობის შემდეგ კი საარჩევნო სიის შედგენაც დაიწყება.

როგორც ყველგან, სიის შედგენა აქაც დიდ დაპირისპირებასთან იქნება კავშირში. საბოლოო სიტყვა ივანიშვილზე იქნება. თავიანთი ხალხის გაყვანას კახა კალაძე და ირაკლი ღარიბაშვილიც შეეცდებიან.

სიის შედგენას, შესაძლოა, კოალიციაში განხეთქილება მოჰყვეს. კოალიციაში შემავალი ძალები რესპუბლიკელების დაწინაურებით ისედაც უკმაყოფილო არიან. რესპუბლიკელები, თავის მხრივ, კარგად ვაჭრობენ და ჯერჯერობით ყველა სასურველ თანამდებობას გამოჰკრეს ხელი.

ბევრი ფიქრობს, რომ მომავალ არჩევნებში ისინი ან დამოუკიდებლად იყრიან კენჭს, ან ახალ კოალიციას გამონახავენ. კოალიციების პოვნა მათ კარგად გამოსდით.

## რატომ შეიკრიბა პარტიის პოლიტსაბჭო

ცოტა ხნის წინ მეოცნებე და ახლა გარესპუბლიკელებული თამარ კორძაია კოალიციიდან პარტიის გასვლას კატეგორიულად გამორიცხავს.

– რესპუბლიკური პარტია 2016 წლის არჩევნებისთვის კოალიცია „ქართული ოცნებისგან" დამოუკიდებლად მოქმედებას არ აპირებს. არ არსებობს ვითარება, რომელმაც ეს შეიძლება გამოიწვიოს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კორძაიამ.

ის ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ხედავს იმაში, რომ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" პარტიის გაძლიერებას იწყებს.

კორძაიას თქმით, პარტია „ქართულ ოცნებას" შეიძლება ჰქონდეს საკუთარი გეგმები 2016 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, თუ როგორ გაძლიერდეს, როგორც პარტია.

დეპუტატის განმარტებით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტიული აქტივობა კოალიციურ აქტივობასთან თავსებადი არ არის.

– რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე მუდმივ რეჟიმში დადის პარტიის რეგიონულ ოფისებში, ხვდება მის აქტივს და ასე შემდეგ. თუკი „ქართული ოცნება" ახლა იწყებს, ამას მივესალმებით. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს პარტიის გადასაწყვეტი საკითხია და მათი აქტივობაა, რომელსაც კოალიციურ აქტივობასთან კავშირი არ აქვს, – განაცხადა თამარ კორძაიამ.

კოალიციის დატოვებას მრეწველებსაც უწინასწარმეტყველებენ. პარტიის ლიდერებს ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით კოალიციისგან განსხვავებული პოზიციები აქვთ. თუ კოალიციას გეზი ნატოსკენ უჭირავს, ესენი რუსეთთან ენის მოჩლექით საუბარს მიიჩნევენ პრიორიტეტად.

ამასთან, როგორც უკვე ვთქვით, ივანიშვილმა ბიზნესმენ დეპუტატებს პარლამენტის მიღმა დარჩენა და ბიზნესის კეთება ურჩია. მეოცნებეებისთვის ექსპრემიერის რჩევა თითქმის კანონია.

მრეწველთა ლიდერები გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე ბიზნესმენები არიან. მათ გარეშე კი მრეწველები ის მრეწველები აღარ იქნებიან.

* * *

საარჩევნო სიის შედგენას სხვა დაპირისპირებებიც მოჰყვება. პარტია „ქართულ ოცნებაში" დაპირისპირება



დაწყებულია და ის შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს.

გაზეთ „ქრონიკა+"-ის რედაქტორ ელისო კილაძის ინფორმაციით, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი მნიშვნელოვნად დაწინაურდა და ყოფილი პრემიერისგან „ქართული ოცნების" საქმეებში აქტიური ჩარევის უფლება მიიღო.

– ამის შესახებ თავად პრემიერი ახლო გარემოცვასთან საუბრობს და მეტიც, ამბობს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე გიორგი მღებრიშვილის დანიშვნით მას ივანიშვილმა ბოლო შანსი მისცა და ეს შანსი მან სიტუაციის ამოსაქაჩად უნდა გამოიყენოს, – აღნიშნავს კილაძე.

ის დარწმუნებულია, რომ „ქართულ ოცნებაში" მალე სერიოზული დაპირისპირება დაიწყება. უთანხმოების მიზეზი, შესაძლოა, დავით კირკიტაძე გახდეს, ოღონდ არა – ნაციონალი დავით კირკიტაძე.

– რამდენიმე დღის წინ პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნა დავით კირკიტაძე და მისი რეკომენდატორები იყვნენ კახი კალაძე და პარტიის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კობახიძე. ეს ის დავით კირკიტაძე არ გეგონოთ, სხვა დავით კირკიტაძეა, რომელმაც არჩევნების წინ „კუდის" დავალებით ქუთაისში ფლაერების მაგივრად მიკროავტობუსიდან ფულის დარიგება დაიწყო და ამომრჩევლებს ივანიშვილის სახელით ჰპირდებოდა საყოფაცხოვრებო ტექნიკას. სწორედ „კუდის" გავლენის აგენტი დაინიშნა თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელად, – ამბობს კილაძე.

მისივე თქმით, კირკიტაძის დანიშვნამ მეოცნებეებში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია.

– „კუდის" აგენტის დანიშვნის ფაქტმა აღაშფოთა მმართველი პარტიის პოლიტელიტა და პარტიაში შეკრების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო, – ამბობს კილაძე.

## ნაციონალური მოძრაობა საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანად სარჩელს ამზადებს

„ეროვნული ბანკის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობა" საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანად სარჩელს ამზადებს.

როგორც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა აკაკი მინაშვილმა განაცხადა, აღნიშნული ცვლილებები ქვეყანაში ეკონომიკურ ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს.

– საზოგადოება დარწმუნდა ამ ორი წლის განმავლობაში, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ ვითარებაში ჩააგდო. ჩამოიშალა ქვეყნის ეკონომიკური სისტემა. ძალიან გაუჭირდათ ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრება და ამ სიდუხჭირისა და ეკონომიკური პოლიტიკის არცოდნის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის ცვლილებები, რომლებიც ხელისუფლებამ ეროვნული ბანკის კანონმდებლობაში შეიტანა. ამ პოზიციაში გაერთიანებულია ყველა მთავარი მოთამაშე, მათ შორის, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები. ყველა ცალსახად აღიარებს, რომ ეს ცვლილებები ქვეყანაში ეკონომიკურ ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს. ეს ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, – აცხადებს მინაშვილი.

მისივე თქმით, ერთიანი ნაციო-



ნალური მოძრაობა საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანად სარჩელს ამზადებს.

აკაკი მინაშვილი:

– სხვა ოპოზიციურ პარტიებს და არასამთავრობო ორგანიზაციებსაც აქვთ მსგავსი ინიციატივები, თუმცა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მინიმუმ პარლამენტის 30 წევრს შეუძლია სარჩელის შეტანა და ერთადერთი ოპოზიციური ძალა, რომელსაც ამის უფლებამოსილება გააჩნია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა". ჩვენ მოვუწოდებთ ყველა დაინტერესებულ მხარეს, ყველა ოპოზიციურ პარტიას, თუ აქვთ ინტერესი, შემოუერთდნენ ჩვენს ამ სარჩელს.

ინტერპრესნიუსი

## ელიავაზე ხანძრის ჩასაქრობად ვერტმფრენი გამოიყენეს



რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ გუდაუთის ქუჩაზე გაჩენილი ხანძარი ჩააქრეს.

ხანძარი ელიავას ბაზრობის სიახლოვეს მდებარე საღებავების საწყობს გაუჩნდა. ხანძრის ჩასაქრობად სპეციალური სახანძრო ვერტმფრენიც იქნა გამოყენებული, რომელიც მტკვრიდან ამოღებული წყლით ხანძრის ჩაქრობას ცდილობდა.

ამის პარალელურად, ადგილზე მობილიზებული იყვნენ სპეციალური ამწეებიც, რომლის საშუალებითაც მეხანძრეები სიმაღლიდან მუშაობდნენ ხანძრის ლოკალიზებაზე.

ხანძრის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა. 2 ადამიანი დაკარგულად ითვლება.

ინტერპრესნიუსი



## რამაზ საყვარელიძე: „სტოლტენბერგის ვიზიტისგან მაპს არ უნდა ველოდოთ"

ანალიტიკოს რამაზ საყვარელიძის განცხადებით, საქართველო ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტისაგან ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღებას არ უნდა ელოდოს.

ამის შესახებ საყვარელიძემ „სპუტნიკ-ჯორჯიასთან" ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოში იენს სტოლტენბერგის ვიზიტი ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრის გახსნას უკავშირდება და ავტომატურად მაპ-ის მიღებას არ ნიშნავს.




რამაზ საყვარელიძე:

– ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა უფრო რთულ პოლიტიკურ საკითხებთან არის დაკავშირებული. ამდენად, დიდად არ ვიიმედებ თავს ამ ვიზიტით.

მისივე თქმით, ძალიან სასიხარულო იქნება, ამ ვიზიტის დაწყებამდე თუ აღმოჩნდება, რომ რაიმე ახალი გადაწყვეტილებაა მომწიფებული ნატოში. ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი საქართველოს ორდღიანი ვიზიტით 26-27 აგვისტოს ეწვევა.

ნიუსპრესი

# ლევან ალაფიშვილი: „მსჯავრდებულების სახლში დროებით გაშვება სარისკოა“

## რატომ იყო უადგილო ეკა ბესელიას განცხადება

ნათია ხურცილავა

**„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სამართლის ექსპერტი ლევან ალაფიშვილი სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის შესახებ საუბრობს:**

***– ბატონო ლევან, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავჯდომარე ეკა ბესელიამ პრეზიდენტს მეტი ქალი მსჯავრდებულის შეწყალებისკენ მოუწოდა. რას იტყვით?***

– რაც შეეხება ეკა ბესელიას მოწოდებას პრეზიდენტისადმი, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი შეიწყალოს, შეწყალება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა და ამას საკანონმდებლო ცვლილება არ სჭირდება. ის მუშაობდა და მუშაობს. რაც შეეხება კრიტერიუმებს, ეს განსაზღვრულია ისე, როგორც გაწერილია პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ დებულებაში, თუმცა, ხვალ-ზეგ რა იქნება, ეს მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის გადასაწყვეტია. ამ ეტაპისთვის შეწყალება ხორციელდება იმ სტანდარტების მეშვეობით, რომლებიც, როგორც გითხარით, დებულებაშია განსაზღვრული და რომელიც საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას შეესაბამება. ამდენად, უპირობოდ ყველა მსჯავრდებული ქალის გათავისუფლება ან რეგულაციების განსაზღვრული პროცედურების დაუცველად გადაწყვეტილების მიღება, არა მგონია, კომიტეტის თავმჯდომარის მოწოდების საგანი იყოს.

***– ეკა ბესელიას ეს განცხადება პოლიტიკური ქვეტექსტის მატარებელი იყო?***

– ის არის პოლიტიკოსი და ამის უარყოფას აზრი არა აქვს. პოლიტიკოსის ნებისმიერი საჯარო განცხადება პოლიტიკურია. მე ვერ გავაკეთებ შეფასებას, რომ ეს იყო პოპულისტური განცხადება, მაგრამ, რეალურად რაც არის, იმაზე მოგახსენებთ. მოწოდების მიუხედავად, ეს ვერ შეიცვლება, რადგან ზოგადად შეწყალება გაწერილი დებულების თანახმად მიმდინარეობს. მაგალითად, მსჯავრდებულ ქალბატონს, რომელმაც პრეზიდენტს არ მიმართა, ბუნებრივია, პრეზიდენტი ვერ შეიწყალებს. ამდენად, მოწოდების საგანი მკაფიოდ არ იყო გამოკვეთილი, თუმცა, იდეა, შესაძლებელია, ძალიან კეთილშობილური იყოს, მაგრამ ამ განცხადების კონტექსტი იყო აკაკი ბობოხიძის ძმის შეწყალება, ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან უადგილო, პოლიტიკურად მოტივირებული განცხადება იყო. ეს იყო კეთილშობილური თემით უხერხული მანიპულირება. ადმინისტრაციამ სტატისტიკა გამოაქვეყნა, მიმართვიდან რამდენი შეიწყალა.

***– ბატონო ლევან, სასჯელაღსრულების ახალი მინისტრი, კახი კახიშვილი, გამოდის იდეით, რომ ქალი მსჯავრდებულები შაბათ-კვირას შინაპატიმრობაში იყვნენ, მათ ჰქონდეთ სახლში ყოფნის უფლება. ამაზე რას იტყვით?***

– სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდის რეჟიმისა და პირობების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. რისკები უნდა შეფასდეს, რა და როგორ შეიძლება იყოს. შესაძლებელია, ეს მიდგომა თავიდან მანდილოსნებით დავიწყოთ და არასრულწლოვნებით ან დანაშაულის სიმძიმის მიხედვით გავაგრძელოთ, მაგალითად, რამდენი აქვს მოხდილი და როგორია მისი ქცევა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ნებისმიერი ინიციატივა და გადაწყვეტილება, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და, ამავე დროს, სისტემურად არ იქნება საფრთხის მატარებელი, რა თქმა უნდა,




მისასალმებელი და მხარდასაჭერია, მით უმეტეს, თუკი მსგავსი ინიციატივები საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციებით და, რაც მთავარია, საკუთარი სახელმწიფო შესაძლებლობების გათვალისწინებით იქნება გაკეთებული.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– მაგალითად, არის თუ არა შესაძლებელი ტექნიკურად ამის შესრულება. ყველაზე მთავარი მთელ ამ პროცესში არის, როგორია რისკები და როგორ იზრუნებს სახელმწიფო ამ რისკების განეიტრალებაზე. თუკი არ არის მეთვალყურეობის სისტემა კარგად აწყობილი, შეიძლება მსჯავრდებულები პასუხისმგებლობის მიღმა აღმოჩნდნენ. საკმაოდ საფრთხილო საკითხია, კარგად გასავლელი, მაგრამ, თუკი სახელმწიფო ამაზე ფიქრობს, ეს მხოლოდ მისასალმებელია და მახარებს.

სახელმწიფო რამდენად არის მზად ამისთვის? და თუ არ არის მზად? როგორ უნდა მოემზადოს? თუ ამაზე ფიქრობს, ეს შესანიშნავია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მნიშვნელოვანია, ეს პროცესი საჯაროდ წარიმართოს. იმედი მაქვს, რომ ახალი მინისტრი გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. კახი კახიშვილმა ნამდვილად იცის გამჭვირვალე პროცესის მნიშვნელობა. თუკი პროცესი დახურული იქნა და გადაწყვეტილება ფართო ჩართულობის გარეშე იქნება მიღებული, მცირე ხარვეზის ან შეცდომის შემთხვევაში მთელი ხელისუფლება პასუხისმგებლობის წინაშე პირისპირ დარჩება.




სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის განაწილება მოხდება. დიალოგისა თუ ოპონირების რეჟიმში შესაძლებლობა იქნება, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლება ამ მიმართულებით სვლას გააგრძელებს.

***– რისკების არსებობაზე ამახვილებთ ყურადღებას?***

– რასაკვირველია. ამიტომ, სწორად თუკი იქნება შეფასებული როგორც დადებითი მხარეები, ასევე რისკები, ეს, ცხადია, ჰუმანური ნაბიჯია.

***– ბატონო ლევან, როგორია თქვენი პოზიცია სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგთან დაკავშირებით? როგორც ცნობილია, მხოლოდ სახალხო დამცველის წარმომადგენლები შედიან საპატიმრო დაწესებულებებში. ამ უფლებას ითხოვს არასამთავრობო სექტორი. ვინ უნდა გამოიტანოს ამბავი მიუკერძოებლად?***

– მე აქცენტს არ გავაკეთებდი მხოლოდ რომელიმე ორგანიზაციის სადღაც შესვლაზე. მე უფრო სისტემურად გავამახვილებდი საკითხზე ყურადღებას. კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში მაქსიმალური გამჭვირვალობის მიღწევა თუკი არის შესაძლებელი, სახელმწიფომ ამ მიმართულებით უნდა იაროს. ნურავის ექნება ილუზია, რომ, მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოებასთან, სარეჟიმო დაწესებულებებთან დაკავშირებით სრული გამჭვირვალობა იქნება. ვერ იქნება, რადგან ეს არის სახელმწიფოს ის ფუნქცია, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე აქვს. სხვანაირად წარმოუდგენელია, მაგრამ, არსებობს ის მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შესაძლებელია.

***– ღია მმართველობის იდეის გათვალისწინებით, როგორც ეს ხდება დასავლეთში, დემოკრატიულ მმართველობებში.***

– დიახ. სწორედ აქედან გამომდინარე შესაძლებელია შეირჩეს ადამიანთა გარკვეული წრე და არა ერთი და ორი ადამიანი ან ორგანიზაცია, რომლითაც მიიღწევა გარკვეული გამჭვირვალობა. შესაძლებელია, პერიოდული ბრიფინგები, პერიოდული ე.წ. ტურები მოეწყოს. ძალიან ბევრი იდეა არსებობს და შეიძლება, სხვადასხვა გამოცდილებაც იქნეს გაზიარებული. მთავარია, ნება იყოს, რომ სისტემის გამჭვირვალობის კუთხით იზრუნონ და ვარიანტებიც მოიძებნება, თუ რა გზით მოხდება ეს. ყოველთვის ისმოდა უკმაყოფილება, როდესაც დგებოდა იმ ადამიანთა და ორგანიზაციათა სია, რომელთაც ჰქონდათ მსჯავრდებულებთან შესვლის უფლება. ამ შემთხვევაშიც ძალიან ბევრი რისკი იყო. მაგალითად, წინა პერიოდის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სიის შედგენის დროს იყო სუბიექტური მომენტები, არ არის ყველაფერი გამართული.

შესაბამისად, ძალიან დიდია არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკები. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ეს გამჭვირვალობის ერთადერთი საუკეთესო გზაა. სახელმწიფოს მხრიდან, რაც არის კონსტიტუციით განსაზღვრული, ეს არის სახალხო დამცველი. დანარჩენი სხვა შეიძლება იყოს მსჯელობის საგანი. მე რამდენიმე ვარიანტს შევთავაზებდი საზოგადოებას. მონიტორინგისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მსჯავრდებულებთან. დღეს, მართალია, ყველა დაწესებულებიდან არა, მაგრამ მსჯავრდებულებს სატელეფონო კომუნიკაცია აქვთ. მაგალითად, პირადად ჩემთანაც კი რეკავენ.

***– კახი კახიშვილს არასამთავრობო სექტორში მუშაობის გამოცდილებაც აქვს. შესაბამისად, ეს დადებით გავლენას იქონიებს ამ მიმართულებით?***

– გარდა იმისა, რომ არასამთავრობო სექტორში მუშაობის გამოცდილება აქვს, მას აქვს სახელმწიფო სამსახურში მუშაობის, სასჯელაღსრულებისა და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება. ამდენად, კახი კახიშვილს ორივე მხრიდან შეუძლია პრობლემის დანახვა და წარმოჩენა. იმედი მაქვს, მთლიანად სახელმწიფო და საზოგადოება ერთად მივაღწევთ პენიტენციარული სისტემის გაუმჯობესებას.

# აფხაზეთში ნავთობის თემაზე აქციებია მოსალოდნელი

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის საზოგადოებამ გააპროტესტა აფხაზეთში ნავთობის შესაძლო მოპოვება, რაც ეკოლოგიური კატასტროფის მომასწავებელია.**

აფხაზეთის პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამ თემაზე მიმართვა გაუგზავნეს დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო კომისიის შექმნას. კომისიას უნდა შეესწავლა, შეესაბამება თუ არა ნავთობთან დაკავშირებით ხელმოწერილი დოკუმენტები აფხაზეთის ეროვნულ ინტერესებს.

მიმართვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ხაჯიმბამ პარლამენტს მოუწოდა, შექმნას კომისია, რომელიც შეისწავლის დადებულ ხელშეკრულებებს აფხაზეთში ნახშირწყალბადების ანუ ნავთობისა და გაზის მოპოვების შესახებ.

კომისიის შექმნას გამოეხმაურა რუსეთის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანია „როსნეფტი“, რომელიც აფხაზეთში, კერძოდ, ზღვის შელფში ნავთობის მოპოვების მიზნით სადაზვერვო სამუშაოებს ატარებს.

„როსნეფტმა“ განაცხადა, რომ კომისიის მუშაობამდე სამუშაოებს წყვეტს.



– კომპანია ერთგულია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პრინციპებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მზადაა, შეაჩეროს თავისი საქმიანობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, – გამოაცხადა რუსეთის სახელმწიფო კომპანიამ.

ამასთან, „როსნეფტი“ აღნიშნავს, რომ ნეგატიური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ის მოითხოვს დაბანდებული სახსრების სამართლიან ანაზღაურებას.

კომპანიამ ასევე მიუთითა, რომ აფხაზეთში მისი საქმიანობის შეწყვეტა ცუდად აისახება რესპუბლიკის ეკონომიკაზე.

„როსნეფტმა“ აფხაზ „ძმებს“ გაახსენა, რომ ის პროექტები, რომლებსაც ის აფხაზეთში ახორციელებს, პუტინის აფხაზეთში ვიზიტისას დაიგეგმა. იგულისხმება არა მარტო გეოლოგიური სამუშაოები შელფზე, არამედ ნავთობპროდუქტების შემოტანა-რეალიზაცია და სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობაც.

ყოველივე ამის ფონზე განცხადებას აკეთებს დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა. მისი გამონათქვამები განსხვავდება ადრინდელი გამოსვლებისაგან და აშკარად დამთმობია.

– იმისათვის, რომ მოიხსნას შეშფოთება საზოგადოებაში, ეს საკითხი დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი. ამიტომ ვთხოვე პარლამენტს, შეექმნა კომისია, რომელიც შეისწავლის ნახშირწყალბადების მოძიების პერსპექტივებს, რომ არ ვიაროთ გეოლოგიური დაზვერვისა და ნავთობის მოპოვების აკრძალვის გზით, – თქვა ხაჯიმბამ.

მისი სიტყვებით, აფხაზური მხარე იხელმძღვანელებს კომპანია „როსნეფტთან“ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. ამასთან, საჭირო კონტროლს დააწესებს ეკოლოგიური ნორმების, ასევე „სახელმწიფოს“ სხვა ინტერესების დაცვაზე.

– იმედი მაქვს, საპარლამენტო კომისიის დასკვნები დაგვეხმარება, ოპტიმალურად გადავწყვიტოთ საკითხი აფხაზეთის ხალხისა და რუსეთის პარტნიორების ინტერესებიდან გამომდინარე, – განაცხადა ხაჯიმბამ.

ამასთან, მან აფხაზეთის მოსახლეობის დასამშვიდებლად გაიხსენა, რომ საზოგადოებაში არსებობს სერიოზული შეშფოთება ნავთობის შესაძლო მოპოვების გამო:

– ეს საკითხი აფხაზეთისათვის სრულიად ახალია, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი, ტრადიციულად, არის ტურიზმი და სუბტროპიკული მეურნეობა ანუ ეკოლოგიურად მგრძნობიარე დარგები. ამიტომ ხშირად ისმის ნახშირწყალბადების მოპოვებაზე მორატორიუმის იდეა.

კანონპროექტი ნავთობისა და გაზის მოძიება-მოპოვებაზე მორატორიუმთან დაკავშირებით არსებობს, თუმცა მისი განხილვა არ მომხდარა. ამ პროექტით აფხაზეთის შელფზე სამუშაოები 30 წლით იკრძალება.

როგორც ჩანს, ამ ვარიანტს კანონად ქცევა არ ელის და „როსნეფტს“ აფხაზეთში პრობლემებს არ შეუქმნიან. სხვა საქმეა, უჭერს თუ არა ამას მხარს აფხაზეთის საზოგადოება. არ არის გამორიცხული, რომ ამ თემაზე აფხაზეთში საპროტესტო აქციები გაიმართოს.

**გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ლია ოსაძე

# რა სახის ხარვეზებია ტურიზმის სფეროში

## მიხეილ თოქმაზიშვილი: „საოჯახო სასტუმროები მისახედია“




### ინტერვიუ ეკონომიკის ექსპერტ მიხეილ თოქმაზიშვილთან

***– ხელისუფლება ტურისტულ სეზონზე დიდ იმედებს ამყარებდა. რამდენად მომზადებული შეხვდა ქვეყანა ტურისტულ სეზონს?***

– ბოლო პერიოდში ტურიზმის განვითარება დრამატულად წარიმართა, რადგან 2014 წლის ბოლოს ტურისტების ნაკადი მკვეთრად შემცირდა. ეს მდგომარეობა 2015 წლის პირველ კვარტალშიც გაგრძელდა, თუმცა ზაფხულის თვეებში ტურისტულმა ნაკადმა საგრძნობლად მოიმატა და 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს დაახლოებით 15%-ით გადააჭარბა. ეს გახლდათ გარკვეული პროგრესი ტურიზმის განვითარებაში.

მკვეთრად გაიზარდა ტურისტების რაოდენობა რუსეთიდან, ყაზახეთიდან, თუმცა, არის ქვეყნები, საიდანაც შემცირდა ტურისტების რაოდენობა, მაგალითად, პოლონეთიდან, საბერძნეთიდან, გასაგები მიზეზების გამო უკრაინიდან, ირანიდანაც შემცირდა ტურისტების რაოდენობა.

***– ირანიდან ტურისტების რაოდენობა რატომ შემცირდა?***

– ეს გამოძახილი იყო იმ შეცდომის, რომელიც გასულ წელს ჩვენმა ხელისუფლებამ დაუშვა ირანთან დაკავშირებით.

***– ტურისტების რაოდენობის 15%-იანი ზრდა ოლიმპიადას ხომ არ უკავშირდება?***

– კი, ოლიმპიადამ განსაკუთრებით ხელი შეუწყო ტურისტების რაოდენობის ზრდას. ტურისტების რაოდენობა პირველ კვარტალში მინუსებში იყო გადასული, შემდგომ მცირეოდენი ზრდამ პლუსი მოგვცა. ეს ჩვეულებრივი სტატისტიკური ამბავია. შემოსავლები, რომლებიც ტურიზმით შემოდის, დაახლოებით იგივეა, რაც იყო 2014 წელს.

***– რა ადგილი უკავია ტურიზმს საქართველოს ეკონომიკაში?***

– ტურიზმი ერთ-ერთ ძირითად ღერძად იქცა ეკონომიკის განვითარებისათვის. პირობითად ვიტყვი ციფრებს, თუ, მაგალითად, 7-8 წლის წინ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 6% იყო, ახლა 10%-ს აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დარგი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სხვა დარგები. მისი როლი და მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდება ეკონომიკაში. პოტენციური შესაძლებლობები ტურიზმის განვითარებაში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ შევძელით მისი აფიშირება. თუმცა, ლარის კურსის დაწევამ განაპირობა სხვა ვალუტის გამყარება ლართან მიმართებით. საქართველოში შემოსულ ტურისტს უფრო იაფი უჯდება მომსახურება, ვიდრე ეს უჯდებოდა ლარის გაუფასურებამდე. ლარის გაუფასურება მთელ ეკონომიკაზე არტყამს და მათ შორის ამ სფეროშიც. ეს არ იყო დადებითი მოვლენა, უბრალოდ, მან დააბალანსა საგადამხდელო ბალანსი საქართველოში.

***– ტურიზმის რა სახეობაა ყველაზე უფრო განვითარებული?***

– გაცილებით სწრაფად იზრდება რეკრეაციული ტურიზმი, დასვენების ტურიზმი,

ტურისტების დიდი ნაწილი დასასვენებლად მოემართება. საქმიანი ტურიზმი კი დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარებასთან, რამდენად არის უცხოელი დაინტერესებული, საქართველოში შემოვიდეს და თავისი საქმე აწარმოოს. საქმიანი ტურიზმის ხვედრითი წილი მეოთხედია, უფრო მცირეა სამკურნალო ტურიზმი. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სამკურნალო ტურიზმს მხოლოდ 5% უკავია. ტურისტები უფრო ეტანებიან თბილის, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთს. მთელი რიგი აუთვისებელი ტერიტორიებია თიანეთში, თუშეთში, რომლებსაც გაცილებით უფრო მეტი პოტენციალი გააჩნია, ვიდრე დღეს ვიყენებთ.

***– მიუხედავად იმისა, რომ აჭარის რეგიონი პირველ ადგილზეა ტურიზმის თვალსაზრისით, იქაც შეინიშნება დარღვევები. გთხოვთ, ამ საკითხზეც გვესაუბროთ.***

– ჩემთვის ყოველთვის საკითხავი იყო, თუ რისი ქალაქია ბათუმი ანუ სამრეწველო ქალაქია თუ ტურისტული ქალაქი. მრეწველობა და ტურიზმი ერთმანეთს ვერ ეთანხმება. ზღვა რა მდგომარეობაშია, თავადაც მოგეხსენებათ. ეკოლოგიური გარემო ტურიზმის განვითარებაში პირველი დომინანტია. ტურისტს აინტერესებს ეკოლოგიური სისუფთავე. ეკოლოგიას საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება. ბათუმი სანამ სამრეწველო ქალაქი იქნება, ეს პრობლემა არ მოიხსნება. თუმცა, მეორე მხრივ, ბათუმი საუკეთესოა ფეშენებელური სასტუმროებითა და კაზინოებით, რომლებსაც საკმაოდ დიდი თანხის შეძენა შეუძლიათ იმ რეგიონისთვის.

***– რისი ბრალია დღეს საქართველოში სამკურნალო ტურიზმის ასეთი დაბალი მაჩვენებელი?***

– სამკურნალო ტურიზმს ძალიან დიდი რესურსი აქვს და მისი განვითარება აუცილებელია. უპირველეს ყოვლისა, უნდა განვითარდეს ის ადგილები, სადაც სამკურნალო ტურიზმი შესაძლებელია. მას კი ინვესტიციები სჭირდება. დღეს ასეთი ინვესტიციები სახარბიელო მდგომარეობაში არ არის. ამიტომ სამკურნალო ტურიზმი ჯერ ვერ განვითარდება.

ამის გარდა, სამკურნალო ტურიზმს სჭირდება გარკვეული მუშაობა უცხოელებთან, რომლებიც შეიძლება სპონსორები გახდნენ ან დაინტერესდეს სამკურნალო ტურიზმის განვითარებით. თუ ეს საქმიანობა არ გააქტიურდა, მაშინ სამკურნალო ტურიზმი ისევ დაბალ მაჩვენებელს მოგვცემს. სამკურნალო ტურიზმს თუ შევადარებთ 2008-2009 წლების მდგომარეობას, დაახლოებით 5%-ით მაინც არის გაზრდილი, მაგრამ სამკურნალო ტურიზმი უფრო მეტის შესაძლებლობებს იძლევა.

***– ტურიზმის სფეროში რა სახის ხარვეზები შეინიშნება? როგორ შეაფასებდით სერვისის დონეს?***

– საქართველოში ტურიზმი ცოტა უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ძვირადღირებული მომსახურება – ძალიან ცუდი სერვისით. საჭიროა ხარისხის გაზრდა, მომსახურების კულტურა და ასე შემდეგ. ამით ჩვენ, ფაქტობრივად, ვაგებთ კონკურენციას მთელ რიგ რეკრეაციულ ზონებთან. ბევრისგან გამიგია, მირჩევია, თურქეთში წავიდე დასასვენებლად, ვიდრე საქართველოშიო, თუმცა მხოლოდ თურქეთი არ არის ჩვენი კონკურენტი.

ხარვეზებია მომსახურებაში, ინფრასტრუქტურაში. ტურისტი მთაში ასვლას თუ მოინდომებს, თვალში ეცემა მოუწესრიგებელი პირობები. საოჯახო სასტუმროები მისახედია, ხშირად არ არის დაცული სანიტარული პირობები. შეიძლება, ტურისტმა თავის ქვეყანაში რეკომენდაცია აღარ მისცეს სხვას და საქართველოში მოუწყობელი ინფრასტრუქტურის გამო აღარ ჩამოვიდნენ.

---

## დავით დარჩიაშვილმა ორ თვეში 6.162 ლარი პრემია მიიღო

პარლამენტის წევრ დავით დარჩიაშვილს ორ თვეში პრემიის სახით 6 162 ლარი აქვს მიღებული. პარლამენტის აპარატის ცნობით, მას ეს თანხა პრემიისა და დამატებითი პრემიის სახით 2012 წლის ნოემ-



ბერსა და დეკემბერში ჩაერიცხა.

ამ ორი თვის განმავლობაში დარჩიაშვილმა საკუთარი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით დანამატის სახით 1.963 ლარიც მიიღო.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, 2013-2014 წლებში პარლამენტარს პრემია არ მიუღია, თუმცა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისთვის ყოველთვიურად დანამატი ერიცხებოდა 833 ლარის ოდენობით.

ამრიგად, 2012 წლის ნოემბრიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით, დარჩიაშვილის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაზე ბიუჯეტიდან 21.973 ლარი დაიხარჯა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლიდან დავით დარჩიაშვილი პარლამენტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით შესული დეპუტატია.

ნსპ.გე

---

## სუბარის უწყებაში 6 თვეში პრემიებისა და დანამატების სახით 271.213 ლარი გაიცა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 6 თვეში პრემიებსა და სახელფასო დანამატებზე 271.213 ლარი დახარჯა.



უწყების ცნობით, 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ეს თანხა სამინისტროს 50 თანამშრომლის, მათ შორის მინისტრის წახალისებასა და დამატებით შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა.

ოფიციალური ინფორმაციით, დროის ამ მონაკვეთში უწყების ბიუჯეტიდან 20.960 ლარი პრემიების, ხოლო 250.253 ლარი დანამატების სახით გაიცა. ამ უკანასკნელიდან 16.260 ლარი დანამატის სახით – სოზარ სუბარმა, ხოლო 82.380 ლარი მისმა ხუთმა მოადგილემ მიიღო.

რაც შეეხება დეპარტამენტების, სამმართველოების, განყოფილებების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, აღნიშნულ პირთა პრემიებსა და დანამატებზე უწყებამ 172.573 ლარი დახარჯა.

გთავაზობთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში 50 პირის პრემიებსა და დანამატებზე დახარჯული თანხის ოდენობებს აღნიშნული 6 თვის მიხედვით:

იანვარი – პრემიის სახით 2.400, ხოლო დანამატის 47.410 ლარი;

თებერვალი – პრემიის სახით 4.260 , ხოლო დანამატის სახით 44.640 ლარი;

მარტი – პრემიის სახით 0, ხოლო დანამატის სახით 41.898 ლარი;

აპრილი – პრემიის სახით 12.500, ხოლო დანამატის სახით 39.590 ლარი;

მაისი – პრემიის სახით 1.800, ხოლო დანამატის სახით 37.850 ლარი;

ივნისი – პრემიის სახით 0, ხოლო დანამატის სახით 38.865 ლარი.

შეგახსენებთ, რომ მინისტრი და მისი მოადგილეები სახელფასო დანამატებს ყოველთვიურად იღებდნენ.

ნსპ.გე

---

## თოფაძეს საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისთვის 833 ლარი ერიცხება

საქართველოს პარლამენტის წევრ გიორგი (გოგი) თოფაძის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისთვის წლის განმავლობაში 10.005 ლა-



რი იხარჯება. კერძოდ, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, პარლამენტარს აღნიშნული მიზნით ყოველთვიურად 833 ლარი ერიცხება.

პარლამენტის აპარატის ინფორმაციით, გიორგი თოფაძის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაზე 2013 და 2014 წელს იდენტური ოდენობის თანხა დაიხარჯა. რაც შეეხება 2012 წელს, ნოემბერსა და დეკემბერში პარლამენტარს 1.963 ლარი ჩაერიცხა, აქედან 1.129 – ნოემბერში. ამ ორი თვის განმავლობაში თოფაძემ პრემიაც აიღო, ჯამში, 5.992 ლარის ოდენობით.

შეგახსენებთ, რომ გიორგი თოფაძე 2012 წლიდან პარლამენტში საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ პარტიული სიით შესული დეპუტატი და ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარეა.

ნსპ.გე

---

## „თელასის“ სატარიფო განაცხადზე სემეკი დღეს იმსჯელებს

დღეს, 5 აგვისტოს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაში კომპანია „თელასის“ განაწილების ქსელში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების გადაანგარიშების წინასწარი საჯარო განხილვა გაიმართება.

როგორც „მედიანიუსს“ სემეკ-იდან აცნობეს, შეხვედრას დაესწრებიან დარგის ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები. განხილვა საჯაროა და მასზე დასწრება ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია.

–საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, კომისიის 2015 წლის 31 ივლისის 41/1 გადაწყვეტილების თანახმად, დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ენერგოსისტემის ელექტრულ ქსელებში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2006 წლის 11 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე – კომისიის სამართლებრივი აქტის – კომისიის დადგენილების გამოსაცემად. აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება განპირობებულია იმით, რომ კომისიაში სს „თელასმა“ შემოიტანა სატარიფო განაცხადი და სატარიფო მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა სს „თელასის“ განაწილების ქსელში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების გადაანგარიშება და ახალი მაჩვენებლების დადგენა, -– აცხადებენ სემეკ-ში.

მედიანიუსი

---

## თბილისი-მოსკოვის მიმართულებით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 74%-ით გაიზარდა

მიმდინარე წლის იანვარ-ივლისის პერიოდში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თბილისი-მოსკოვის საჰაერო ხაზზე მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებელი 74%-ით გაიზარდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, 2015 წლის საანგარიშო პერიოდში ორივე ქვეყნის მიერ დანიშნული ავიაკომპანიის მიერ, ჯამში, 143.169 მგზავრია გადაყვანილი, რაც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (60.953 მგზავრი) 74%-ით მეტია.

როგორც უწყებაში აცხადებენ, აღნიშნული მიმართულებით მგზავრთა ნაკადის კიდევ უფრო მატება მოსალოდნელია ზაფხულის სეზონის განმავლობაში.

ნიუსპრესი

---

## ემზარ ჯგერენაია: „პრეზიდენტსა და ხელისუფლებას შორის ომს ეკონომიკასთან კავშირი არა აქვს“



ეკონომიკის ექსპერტ ემზარ ჯგერენაიას განცხადებით, საქართველოს პარლამენტის მიერ საბანკო ზედამხედველობის შესახებ კანონში მიღებული ცვლილებები კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკას არ უკავშირდება და არც მათზე ზეწოლას ისახავს მიზნად.

– ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების მარეგულირებლად უნდა ჩამოყალიბდეს და მონეტარული პოლიტიკის ეფექტური გატარება თავის თავზე აიღოს. რაც შეეხება პრეზიდენტსა და დანარჩენ აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის გაჩაღებულ ომს, ის არის წმინდა პოლიტიკური და ეკონომიკასთან კავშირი არა აქვს, – აღნიშნა ექსპერტმა.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტს ვეტო წინა კვირას დაადო. კანონპროექტში შესული ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა უკვე დაამტკიცა, ეროვნული ბანკისგან დამოუკიდებლად ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს შექმნას გულისხმობს, რომელიც არც ერთ ორგანოს არ დაექვემდებარება.

ნიუსპრესი

# მარინე ჩიტაშვილი: „ჩვენი ძირითადი ამოცანა კვლევების ხარისხი და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში სწრაფად ინტეგრირებაა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფუნდამენტური კვლევები, გაზრდილი ბიუჯეტი, შეფასების ახალი კრიტერიუმები, საერთაშორისო ექსპერტთა შეფასება და ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა – ეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტების მცირე ჩამონათვალია. რა ახალი პერსპექტივები ელოდებათ მეცნიერებს და რა თანამედროვე სიახლეები ინერგება მათთვის, აღნიშნულზე ფონდის გენერალური დირექტორი, პროფესორი მარინე ჩიტაშვილი საუბრობს.**



***– რა მიზანს ემსახურება ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი?***

– კონკურსის მიზანია დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შეარჩიოს და დააფინანსოს კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღებას ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში. საკონკურსოდ წარმოდგენილი კვლევა ორიენტირებული უნდა იყოს მოვლენების, ფაქტების, თეორიების, მოდელების, ახალი იდეებისა და კონცეფციების თეორიულსა და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზზე. დასაფინანსებელ კვლევას არ მოეთხოვება უშუალო კომერციული სარგებლიანობა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა წარმოადგენდეს სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან ტექნიკური პროგრესის საფუძველს.

***– როგორია აღნიშნული კონკურსის შეფასების კრიტერიუმები?***

– ვმუშაობთ შეფასების ახალ კრიტერიუმებზე, რომლის დანერგვაც ახალი კონკურსების გამოცხადებისას მოხდება. საკითხი ფონდის საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭოს პირველ სხდომაზევე იყო განხილული და ფონდს დაევალა ახალი კრიტერიუმების სისტემის მოდელზე მოამზადოს პროექტი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ახალი კრიტერიუმები, რომლის შემოღებასაც ვაპირებთ იქნება იგივე რასაც იყენებს „ჰორიზონტი 2020“, ევროპის კვლევითი საბჭო ან ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ფონდი.

ამ ფონდებს თუ გადავხედავთ აღმოჩნდება, რომ კატეგორიზაცია 7 საფეხურის მიხედვით ხდება: ყველაზე უფრო საუკეთესო (გამორჩეულად კარგი), ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, სუსტი, არ ექვემდებარება დაფინანსებასა და განხილვას. შეფასების მინიჭებისას დაიწერება განვრცობილი კომენტარი, რომელიც მიიღწევა კონსენსუსის საფუძველზე ექსპერტთა მიერ. ეს ძირითადი მონახაზია, თუმცა, დეტალების დამუშავებას დრო დასჭირდება.

ფონდი სერიოზული სამუშაოს ჩატარებას აპირებს ახალი კრიტერიუმების სისტემის დასადგენად, რომლის თანახმად, დიდი განსხვავება ჩვენსა და უცხოეთში ამჟამად არსებულ კრიტერიუმებს შორის აღარ იქნება. მაქსიმალურად იქნება დაახლოებული შეფასების კრიტერიუმებიც, სისტემებიც და მოთხოვნებიც. პროექტის გაფორმებისთვის წაყენებული გარკვეული სტანდარტების ანალოგად გამოყენებული იქნება ევროპის კვლევით საბჭო ან ჰორიზონტი 2020.

ამას აქვს კიდევ ერთი მიზეზი, 2016 წლის 1 იანვრიდან, ფაქტობრივად, დამთავრებულია მოლაპარაკება ჰორიზონტი 2020-თან და, შეთანხმების თანახმად, საქართველო ჰორიზონტი 2020-ის ასოცირებული წევრი ხდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობა ექნებათ, თვითონ იყვნენ განმცხადებლები, წამყვანები და დაფინანსება მოიპოვონ.

***– საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ასევე, ხომ არ გულისხმობს საერთაშორისო ექსპერტიზასაც და მაშინ როგორია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ექსპერტთა შერჩევისას?***

– ერთმნიშვნელოვნად, ჩვენი ძირითადი ამოცანაა საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში მაქსიმალურად სწრაფად ინტეგრირება და ასეთ შემთხვევაში, იმისათვის, რომ შევაფასოთ რეალურად რას ვფლობთ, ან რა პოტენციალი და რესურსი გაგვაჩნია საჭიროა მთლიანად საერთაშორისო შეფასებაზე ანუ საერთაშორისო ექსპერტიზაზე გადასვლა. ამის გამოყენებას ადრეც ცდილობდნენ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, იმიტომ, რომ სისტემა არ იყო დახვეწილი, ჩნდებოდა გარკვეული პრობლემები – ექსპერტების შერჩევა არ იყო დამყარებული გაზომვად კრიტერიუმებზე და არ ვიცოდით ვინ უნდა აგვერჩია და ა.შ. რაც, შესაბამისად, ქმნიდა გარკვეულ სირთულეებს. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენთან ექსპერტული შეფასება არ იყო ანაზღაურებადი. უცხოეთში, მთელ რიგ შემთხვევებში, არ მიმართავენ ექსპერტიზის ანაზღაურებად სისტემას, მაგრამ მათ უნივერსიტეტები უთვლის ადმინისტრაციულ საქმიანობად (სამეცნიერო აქტივობა, რომელიც უშუალოდ არ არის კვლევაზე მიმართული) და ეს ხელფასის შემადგენელი ნაწილია. გარდა ამისა, ექსპერტული საქმიანობა მათი კარიერისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. რადგან ჩვენთან ასეთი სისტემა არ არსებობს, გადავწყვიტეთ ავიღოთ ის მოდელი, რომელსაც იყენებს ევროპის კვლევითი საბჭო ან ჩეხეთის ფონდი. ამ შემთხვევაში, ექსპერტთა ანაზღაურება არ არის მაღალი და, შეთავაზებული თანხიდან გამომდინარე, ექსპერტი თავად წყვეტს, აიღოს თუ არა თანხა. მაგალითად, შემიძლია გითხრათ, რომ დიდი ბრიტანეთის არცერთი მეცნიერი, ერთი ან ორი პროექტის შეფასებაში, მოცულობიდან გამომდინარე, არ მოითხოვს ამ მცირე თანხის ანაზღაურებას, მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს მათთვის აკადემიური კოლეგიალობისა და პროფესიული ეთიკის დარღვევა იქნებოდა.

***– როგორ აპირებს ფონდი უცხოელი ექსპერტების მოძიებას?***

– „ელსევიერზე“ (ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზა) გვაქვს ხელმისაწვდომობა, რაც დაგვეხმარება საკუთარი ბაზის გადახედვა-გადახალისებაში. უნდა ავაწყოთ ისეთი სისტემა, შევიმუშაოთ ფორმატი, რომლის მიხედვითაც დარეგისტრირდება ექსპერტი და პარალელურად ამ ექსპერტის გვერდზე აისახება როგორია: მისი H ინდექსი (მკვლევრის სამეცნიერო პროდუქტიულობის განმსაზღვრელი); მისი კვლევითი სფერო, პუბლიკაციები და სხვ.

ექსპერტთა ბაზა ნაწილობრივ აქამდეც არსებობდა, მაგრამ დაუხვეწავი იყო. მაგალითად, იყო, რომ ექსპერტები კვლევითი მიმართულების მითითებისას ასევე უთითებდნენ „და სხვას“, რის შედეგადაც ერთსა და იმავე ექსპერტს აღმოაჩენდით ისეთ დარგებში, რომლებშიც მათ ნამდვილად არ ჰქონდათ ექსპერტიზა.

ახლა კი, წვდომა ასევე გვაქვს Web of Science (WoS) და Scopus-ზე, რომელთა საშუალებითაც, ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება არსებულ ექსპერტთა უფრო ზუსტი პროფილის დადგენა და მეორე, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის გამოყენება პროექტების შესაფასებლად.

მრავალშრიანი ფილტრის დაყენების შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ჩვენს ბაზაში 4000 დარეგისტრირებული ექსპერტიდან დაგვრჩეს 4.000 ან სულაც 500, რომელიც უკვე ახალ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

***– რომელი მიმართულებებია პრიორიტეტული ფუნდამენტური კვლევებისთვის და როგორია კონკურსის შედეგები?***

– წელს 106 პროექტი დაფინანსდა. 22 პროექტისთვის ფონდმა დამატებით მოიძია თანხა და ამისთვის საჭირო გახდა 1 თვე და განათლებისა და, მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, დამატებითი თანხების ალოკაციითა და შიდა რესურსების გადანაწილებით შევძელით საუკეთესო პროექტების დაფინანსება სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით. შესაბამისად, ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის დაფინანსებაზე გამოიყო 13.982.223 ლარი – შარშანდელ კონკურსთან შედარებით, 3.034.668 ლარით მეტი.

არა მხოლოდ ფუნდამენტური კვლევებისთვის, არამედ ყველა საკონკურსო პროგრამებისთვის აქამდე პრიორიტეტული იყო 10 სამეცნიერო მიმართულება, რომლის თანახმადაც, ტარდებოდა კონკურსები. წელს ფუნდამენტური კვლევების კონკურსის შედეგად მიმართულებების მიხედვით გრანტები გადანაწილდა შემდეგნაირად: ქართველოლოგიის მეცნიერებები – 17, ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები – 15, საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – 11, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები – 4, მათემატიკური მეცნიერებები – 8, ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები – 15, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები – 9, სამედიცინო მეცნიერებები – 5, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო – 11, აგრარული მეცნიერებები – 11. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფონდის რესტრუქტურიზაციის შედეგად, საგრანტო პროექტები 2015 წლიდან ფინანსდება EUROSTAT-ისა და OSCD-ის კლასიფიკაციის შესაბამისად, რასაც ემატება საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები. ეს სამეცნიერო მიმართულებებია: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ინჟინერია და ტექნოლოგიები; სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები; აგრარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები; ჰუმანიტარული მეცნიერებები; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

***– თუ გაქვთ მონაცემები, ზოგადად მეცნიერების რომელ დარგებში წარმოჩნდება საქართველო?***

– „ელსევიერის“ მიერ მოწოდებული სტატისტიკის შედეგად, მათემატიკაში, თეორიულ ფიზიკაში, მედიცინაში ჩვენ არაფერი გვიჭირს. კარგად ვართ წარმოდგენილი აგრარულ მეცნიერებებშიც, რაც ჩემთვის ნამდვილად სიურპრიზი იყო და ძალიან გამიხარდა. ასევე არ გვიჭირს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, მაგრამ, სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს, ჰუმანიტარულ, სოციალურ მიმართულებებში, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების რიგ დარგებში: ბიოლოგიაში, ქიმიაში ძალიან მცირეა განაცხადები.

ვიცი, ოპონენტების არგუმენტები იქნება, რომ Scopus-ი ყველაფერს ხომ არ ფარავსო? ნამდვილად არ ფარავს, მაგრამ, მაშინაც კი, როდესაც გვჭირდებოდა ხოლმე ექსპერტების შერჩევა, თუნდაც საკონკურსო კომისიისთვის, ასეთ შემთხვევაში ძალიან მარტივად ვსარგებლობდით Google scholar-ის (სამეცნიერო საძიებო მონაცემთა ბაზა) საძიებო სისტემით და, უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ძალიან სავალალო შედეგებს ვაწყდებოდით – მეცნიერები ელემენტარულად არ იძებნებოდა.

არის კიდევ ერთი პრობლემა, იქ სადაც ძალიან კარგად ვართ წარმოდგენილი და, ვისაც მაღალი ინდექსაცია აქვს, ისინი ხანში შესული ხალხია. შემდეგ თაობაში წყვეტა გვაქვს, დარგის თავიდან აწყობა ძნელი, ხარჯიანი და დროში ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივა, რომ დააბრუნოს უნივერსიტეტში კვლევითი პროფესორის სტატუსი, რომელიც მიიღებს დოქტორანტების მომზადებაში მონაწილეობას, ძალიან სერიოზულად წაადგება იმ საქმეს, რომ როგორმე შემცირდეს წყვეტა ასაკობრივ ჭრილში.

***– აქედან გამომდინარე, შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა თუნდაც ფუნდამენტურ კვლევით პროექტებში მწირია?***

– ვერ გეტყვით ზუსტად, ვინაიდან ეს სტატისტიკა ახლა არ მაქვს, მაგრამ, ერთი რამის თქმა ნამდვილად შემიძლია, ჩვენ სრულიად სხვა მიზეზების გამო გადავათვალიერეთ საკონფერენციო გრანტები, რომელიც არის ძირითადად ორგანიზაციულად შესასრულებელი და კატასტროფული შედეგი მივიღეთ, 5 წლის განმავლობაში ახალგაზრდების მონაწილეობა 13%-იც კი არ არის. ეს ნიშნავს იმას, რომ რასაც ჰქვია მეცნიერების განვითარება, დაგეგმვა, ორგანიზება, რის გარეშეც არ არსებობს თანამედროვე მეცნიერება, ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები არ არიან ჩართულები. მაშინ, დგება მარტივი საკითხი, თუ მე, ახალგაზრდა, ამაში ჩართული არ ვარ, როგორ უნდა შევიძინო სამეცნიერო კვლევის მენეჯმენტისთვის აუცილებელი უნარები? როგორ უნდა ჩავერთო აკადემიურ ქსელში და ბევრი სხვა.

თუ გადავხედავთ სამოგზაურო გრანტებს, აღმოჩნდება, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით წლევანდელ წელს, ახალგაზრდების მონაწილეობა მინიმალური იყო. ვფიქრობთ, რომ აკადემიური პერსონალისთვის მისასალმებელი უნდა იყოს ახალგაზრდებისათვის გამოცდილების, ცოდნის შეძენის მოტივაციისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც აისახა 2015 წლის საგრანტო კონკურსში. ემპირიულმა მონაცემებმაც ცხადყო ცვლილების აუცილებლობა.

ამიტომ, წელს დაწესებული თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის გამო, რომ ყველას ჰქონოდა თანაბარი შესაძლებლობა, მივიღეთ შედეგი – 52% – დაფინანსდა 40 წლის ზემოთ ასაკის მქონე მეცნიერები, ხოლო 48% – 40 წლამდე მეცნიერები.

***– რას გულისხმობთ ახალგაზრდებისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპში, შეფასების კრიტერიუმების შეცვლას?***

– არა, შეფასების კრიტერიუმები ყველასთვის ერთი და იგივე იყო, მაგრამ, მე თუ ვილაცაზე 30 წლით ადრე გავჩნდი და, შესაბამისად, ამ 30 წლის მანძილზე, სხვაზე მეტი პუბლიკაცია დავაგროვე და ამ პირობებში, უცხოეთის რომელიღაც ინსტიტუტი არცერთს არ გვიწვევს, მაგრამ ჩვენ მიერ გაგზავნილ ზეპირ მოხსენებებს თანაბრად იღებს, აღმოჩნდება, რომ მეც, 57 წლის ასაკშიც და ჩემს სტუდენტსაც, 27 წლის ასაკში ერთი და იგივე მონაცემები გვაქვს, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, ამის ნიველირებისთვის ფონდი პრიორიტეტს ანიჭებს ასაკის მიხედვით ახალგაზრდას და მეტ ქულას აძლევს. შესაბამისად, წარმატებულ ახალგაზრდასა და ზრდასრულ მეცნიერს აყენებს თანაბარი შესაძლებლობების პირობებში.

ჩვენ 2016 წლისთვის გვინდა ფუნდამენტურ, გამოყენებით თუ სხვა კონკურსებში ახალგაზრდა მეცნიერებისთვის გამოვაცხადოთ ცალკე კონკურსი, იმისათვის რომ მათ ხელი შევუწყოთ საკუთარი კვლევების განვითარებაში. ამ შემთხვევაში ახალგაზრდად ჩაითვლება მეცნიერი არა ასაკის მიხედვით, არამედ ბოლო 7 წლის განმავლობაში დაცული სადოქტორო ხარისხის მიხედვით.

***– რას ურჩევდით თქვენ, როგორც ფონდის გენერალური დირექტორი, მეცნიერებს?***

– მეცნიერების განვითარება დღეს საქართველოსთვის გულისხმობს საერთაშორისო აკადემიურ ქსელში მაქსიმალურად ინტეგრირებას, კოლაბორაციული პროექტების განხორციელებას, კვლევების ხარისხის უზრუნველყოფას, ყველა მიმართულებით სტანდარტების აწევასა და ახალგაზრდა მეცნიერების უკან დაბრუნებას კვლევით (და სასწავლო) საქმიანობაში.

ვინმე შემეკითხება, 2015 წელს რა მიმაჩნია ფონდის საქმიანობაში ყველაზე დიდ მიღწევად დავასახელებ რამდენიმეს: „ელსევიერის“ ბაზაში განთავსდება ორი ქართული ჟურნალი; ფუნდამენტურ კვლევებში წელს დაფინანსდა 106 პროექტი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დამსახურებაა – დამატებითი ხარჯების გამოყოფით, გაზრდილმა ბიუჯეტმა შეადგინა 13.982.223 ლარი; 2016 წლიდან ცალკე იქნება პროგრამული დაფინანსება საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებისთვის, რომელსაც პროგრამული ბიუჯეტის 10% მოხმარდება. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა და ვალდებული ვართ, პირველ ეტაპზე კვოტის დაწესებით თუნდაც გავაძლიეროთ და გარეთ გავიტანოთ საქართველოს შესახებ არსებული მეცნიერული კვლევები.

დაიგეგმა ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერისთვის მთელი პაკეტის შექმნა, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებით კოლაბორაციული პროექტების ფარგლებში ახალი ტიპის გრანტების დაფინანსებას საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებმაც მიიღეს დოქტორის ხარისხი და გაიარეს პოსტდოქტორანტურა წამყვან უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში, ასევე, ჩართულები არიან დიდ პროექტებში შესაძლებლობა მიეცემათ დაბრუნდნენ და ინტეგრირდნენ სასწავლო და სამეცნიერო კვლევებში, ისე რომ შეინარჩუნონ ეს კოლაბორაცია. ეს არის ის, რაც ჩვენ წელს გავაკეთეთ.

**ნინო ჩხენკელი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# თურქეთში აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა

თურქეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინცია შირნაკში, აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ორი სამხედრო, ხოლო ერთი დაცვის წევრი იყო.

„როიტერის“ ცნობით, არიან დაშავებულებიც. თავდასხმა ქურთმა მებრძოლებმა განახორციელეს. მათ ხელით ნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა გზაზე განათავსეს და მაშინ გააააქტიურეს, როდესაც იქ სამხედრო ავტომობილმა გაიარა.

„ქურთების მუშათა პარტია“, რომელიც აშშ-ისა და თურქეთის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული, თავდასხმებს ხშირად ახორციელებს. ბოლო ათი დღეა, თურქეთის არმიამ თურქეთის სასაზღვრო რეგიონში ქურთების ბაზებზე ასობით ავიაიერიში მიიტანა. 20 ივლისის შემდეგ „ქურთების მუშათა პარტიის“ მიერ ორგანიზებულ თავდასხმებს კი 18 სამხედრო შეეწირა.



ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენზე მომხდარი აფეთქების მიზეზად ტერორისტული აქტი სახელდება. ამის შესახებ ინფორმაციას ყარსის გუბერნატორი ავრცელებს.

აფეთქება ყარსის პროვინციაში გამავალი მილსადენის მონაკვეთზე მოხდა. გამოძიება დაწყებულია და უსაფრთხოების მიზნით დროებით შეჩერებულია რეგიონში გაზის ტრანსპორტირება.

აფეთქების შემდეგ ცეცხლი გაჩნდა, თუმცა ის ტყის მასივზე არ გავრცელებულა და სწრაფადვე ჩააქრეს.

ადგილობრივების თქმით, აფეთქების ხმა 20 კილომეტრის რადიუსში გაიგონეს. დაწყებულია აღდგენითი სამუშაოები.

# იემენში სამთავრობო ჯარებმა ქვეყნის ყველაზე დიდ ავიაბაზაზე კონტროლი აღადგინეს



იემენში სამთავრობო ჯარებმა ქვეყნის ყველაზე დიდ ავიაბაზაზე კონტროლი აღადგინეს. „ბიბისის“ ცნობით, ამის შესახებ იემენის არმიის პრესსამსახური იტყობინება.

ბოლო რამდენიმე დღეა, მიმდებარე ტერიტორიაზე ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობდა. ალ-ანადის ავიაბაზა ამ დრომდე ჰუსიტ ამბოხებულებს ჰქონდათ დაკავებული.

იემენში უკვე რამდენიმე თვეა, სამთავრობო ძალებსა და ამბოხებულებს შორის დაპირისპირება მიმდინარეობს. ინტენსიური ბრძოლის გამო ქვეყნის მთავრობა მუშაობას ველარ ახერხებს. მას შემდეგ, რაც 2011 წელს იემენში ხელისუფლება შეიცვალა, ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება.

ყოფილი პრეზიდენტი, სალეჰი, ანტისამთავრობო გამოსვლების გამო გადადგა. სწორედ მას უჭერენ შიიტ ჰუსიტები მხარს. ამბოხებულებმა სექტემბერში დედაქალაქ სანაას დაკავება შეძლეს. მოქმედი პრეზიდენტი, მანსურ ჰადი, იძულებული გახდა, ქალაქ ადენში გადასულიყო და ის ქვეყნის დროებით დედაქალაქად გამოეცხადებინა. თუმცა, ამბოხებულებმა ადენსაც შეუტიეს და სამხედრო ბაზა დაიკავეს, რის შემდეგაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტმა ჰადიმ ქვეყანა დატოვა.

იემენის ხელისუფლებას არაბულმა ქვეყნებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს. კოალიციას საუდის არაბეთი ხელმძღვანელობდა, რომელიც აცხადებდა, რომ აჯანყებულების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებს მანამ არ შეწყვეტდნენ, სანამ ამბოხებულები იარაღს არ დაყრიდნენ.

# ნიუ ჰემპშირში საცირკო კარავი ჩამოინგრა

ნიუ ჰემპშირში საცირკო კარავი ჩამოინგრა. ინციდენტს 2 ადამიანი ემსხვერპლა, 22 კი დაშავდა. რამდენიმე დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა, რის გამოც მსხვერპლი, სავარაუდოდ, გაიზრდება.

გავრცელებული ცნობით, საცირკო კარავი ძლიერი ქარის გამო ჩამოინგრა. ინციდენტის დროს კარავში 250-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა.



მომხდარს ნიუ ჰემპშირის პოლიცია იძიებს.

ეს ბოლო პერიოდში პირველი მსგავსი შემთხვევა არ არის. რამდენიმე დღის წინ ჩიკაგოსთან ახლოს მუსიკალური ფესტივალის დროს ძლიერი ქარის გამო ის კარავი დაზიანდა, რომელშიც ათობით ადამიანი იმყოფებოდა. შედეგად დაიღუპა ერთი, ხოლო დაშავდა ათობით ადამიანი.

# მარია გაიდარს უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭეს

რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთ აქტივისტ მარია გაიდარს უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭეს. განკარგულებას ხელი პრეზიდენტმა პოროშენკომ მოაწერა.

– უკრაინის პრეზიდენტმა, პეტრო პოროშენკომ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რუსი საზოგადო მოღვაწის მარია გაიდარისა და რუსი ჟურნალისტის, „ფორბს უკრაინის“ ყოფილი რედაქტორის, ვლადიმერ ფედორინისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, – ნათქვამია განცხადებაში.

32 წლის მარია გაიდარი, რუსეთის ყოფილი პრემიერის შვილი, სააკაშვილის მოადგილედ ივლისის შუა რიცხვებში დაინიშნა. პროფესიით ეკონომისტი, სწავლობდა მოსკოვის ეროვნულ ეკონომიკურ და ჰარვარდის უნივერსიტეტებში.



# სერგეი ლავროვი: „რუსეთი სირიას სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, მოსკოვი სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს სირიისა და ერაყის მოქმედ მთავრობებს „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.



ამის შესახებ ლავროვმა ყატარში ვიზიტისას ისაუბრა.

– ჩვენ გავუწევთ სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას სირიის მთავრობას, რათა მათ ეს საფრთხე დაძლიონ. მხარდაჭერას ვთავაზობთ ერაყსაც, – განაცხადა ლავროვმა.

რაც შეეხება ბარაკ ობამას გადაწყვეტილებას სირიის ოპოზიციური ძალების მხარდასაჭერად სამხედრო ავიაციის გამოყენებაზე, რუსეთის პირველმა დიპლომატმა მას კონტრპროდუქტიული უწოდა. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება არღვევს საერთაშორისო სამართალს და ხელს უშლის ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ფრონტის შექმნას. ამჟამად ახლო აღმოსავლეთში მთავარ საფრთხეს ისლამური სახელმწიფო წარმოადგენს.

პუტინმა, შესაძლოა, ბაშარ ასადს ზურგი აქციოს. ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ედროღანმა განაცხადა.

– ბაქოში პუტინის ნახვისას სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. ვფიქრობ, რუსეთს აღარ სჭირდება სირიის პრეზიდენტის მხარდაჭერა და სრულებით შესაძლებელია, მალე პუტინმა მას ზურგი აქციოს, – აღნიშნა ერდოღანმა.

სამოქალაქო ომი სირიაში უკვე მე-4 წელია გრძელდება, რომელსაც 40 ათასამდე ადამიანი შეეწირა.

# რენდ პოლს რუსეთსა და ჩინეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება სურს

ამერიკის პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატ რენდ პოლს მოსკოვსა და პეკინთან ურთიერთობების გაღრმავება სურს. სენატორის თქმით, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ის პირველ ოფიციალურ ვიზიტს სწორედ რუსეთში ან ჩინეთში განახორციელებს.

– მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ეს ქვეყნები ჩვენი მოწინააღმდეგეები არიან, ვფიქრობ, მათთან ურთიერთობის დალაგება შესაძლებელია, – აცხადებს პოლი.

თავის მხრივ, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი ირწმუნება, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში რუს კოლეგასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას შეძლებს. ამის შესახებ მან ტელეკომპანია „სიენენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. რესპუბლიკელთა ყველაზე რეიტინგულმა კანდიდატმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და თეთრი სახლის მოქმედი ლიდერი და ყოფილი



სახელმწიფო მდივანი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა. ბარაქ ობამა მან არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულა, ჰილარი კლინტონს კი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ცუდი სახელმწიფო მდივანი უწოდა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ყაზახეთში საქართველოს მოქალაქე ქრთამის მიცემის ფაქტზე გაასამართლეს

ყაზახეთის დედაქალაქში საგადასახადო ინსპექციამ მაღაზიები შეამოწმა, რომელთაგანაც ერთ-ერთში არაკანონიერი ალკოჰოლური საქონელი აღმოაჩინეს.

სამართალდამცველების ცნობით, აღნიშნული მაღაზიის მეპატრონე შვებულებაში იმყოფებოდა და მის მაგივრად სავაჭრო ობიექტს მამამისი განაგებდა, რომელიც საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა.

ყაზახეთის საგადასახადო სამსახურის ინფორმაციით, ალკოჰოლურ პროდუქციას თან შესაბამისი დოკუმენტაცია არ ჰქონდა.

მაღაზიაში მყოფმა ქართველმა საგადასახადო ინსპექტორს ამ ფაქტის გაუხმაურებლობის სანაცვლოდ ქრთამი შესთავაზა.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ინსპექტორმა მამაკაცი გააფრთხილა, რომ ეს შეთავაზება უკანონო იყო, თუმცა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ქართველი მას ქრთამის აღებას კვლავ დაჟინებით სთხოვდა. ამის შემდეგ საქართველოს მოქალაქე დააკავეს. სასამართლო პროცესზე მან დანაშაული აღიარა და მოსამართლეს სთხოვა, თავისუფლების აღკვეთა არ შეფარდებოდა.

ნპ.გე


# განცხადებები

● თამბაქოს მწეველობის მიტოვება თამბაქოს სრულ შეზიზღებამდე, ნიკოტინისგან ფილტვების გაწმენდა, ჰიპომნეზია (მეხსიერების შესუსტება), ამნეზია, უძილობა, სტრესი, დეპრესია, შფოთვა ძილში, ნერვული აგზნებადობა – მცენარეული, მაღალეფექტური და აბსოლუტურად უსაფრთხო პრეპარატებით, უმაღლესი შედეგებით. ტელ: 599-36-65-34; 592-25-38-26 ნინო ექიმი.

● სიმაღლეში ზრდის ეფექტური სწრაფი პროგრამა კურსით 2-5 სმ-ის მომატება 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით, უნებლიე შარდვის მკურნალობა მოზარდებშიც, ასაკოვანებშიც, ასევე გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ-მდე თვეში უვნებლად. ორგანიზმი სწავლობს სწორ კვებას, მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება, ავტომატურად წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ხდება სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან! იმუნიტეტის აღდგენა-გაძლიერება, კანის გაახალგაზრდავება. ტელ: 592-10-58-22 ქ-ნი ნონა.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შე-გიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● სიახლე!!! 3-კომპონენტიანი კუპაჟი – გასახდომი ყავა!!! ანტიდიაბეტური ეფექტით! 750 მლ-იან ქილაში, 40-45 დღის – 15 ლარი. მის: თამარ მეფის 27. ტელ: 558-59-59-82.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრებებით: „პლანტა“-ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც), „პლანტა-გლანდა“-ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა. „პლანტა+“-კისტა, ფიბრომა, მომატებული პროლაქტინი... კენჭოვანი დაავადებები, პროსტატიტი, ადენომა, კოლიტი, შაკიკი. ტელ: 259-59-82, 558-59-59-82. ენვერი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ ვაზიანში (მუხრანთან ახლოს, თბილისიდან 35კმ-ში) 2000 კვ.მ. ხეხილიანი, შემოსაზღვრული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სინათლე, წყალი, გაზი, ახლოსაა. 1 კვ.მ-ს ფასი 2,5 დოლარი. ტელ: 0790-90-32-96; 568-657-486 ალექსანდრე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მომ-ლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# სანიკიძე კარიერას თურქეთში გააგრძელებს

ევროპული მედიის ცნობით, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე კარიერას თურქული სუპერლიგის გუნდ „თედ კოლეჯლერში“ გააგრძელებს. კონტრაქტის გაფორმებისა და პირობების შესახებ ჯერ ოფიციალური ინფორმაცია არ გავრცელებულა, თუმცა რამდენიმე ევროპული მედიასთან ერთად აღნიშნულ ტრანსფერს ადასტურებს თავად თურქული კლუბის „ტვიტერის“ გვერდი.

სანიკიძემ გასული სეზონი სრულად ვერ ითამაშა. მან კონტრაქტი ყაზანის „უნიკსთან“ გააფორმა და ევროლიგასთან ერთად ვითიბი ლიგაში თამაშობდა. ევროლიგის პლეი ოფში ვერგასვლის შემდეგ „უნიკსმა“ ულების თასზე გადაინაცვლა, სადაც სანიკიძემ რამდენიმე მატჩი ჩაატარა და მხრის ტრავმა გაუმიზეზდა. ქართველმა ფორვარდმა ოპერაცია გაიკეთა და, რადგან მისი რეაბილიტაცია სეზონის ბოლომდე ვერ მოესწრებოდა, რუსული კლუბი და ფორვარდი კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდნენ.

„უნიკსთან“ დაშორების შემდეგ სანიკიძემ რეაბილიტაციის საფუძვლიანი კურსი გაიარა სერბეთში, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და ეროვნული ნაკრების შეკრებამდე ჯერ ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, შემდეგ კი ნაკრებს შეუერთდა და ფიზმომზადების მწვრთნელ ალექსანდრ ჩვოროვიჩის მეთვალყურეობით ფორმა აღიდგინა.

სანიკიძე ახლა სლოვენიაში, ეროვნული ნაკრების შეკრებაზეა და ახალ კლუბს ევრობასკეტის შემდეგ შეუერთდება.

გეტყვით, რომ ანკარის საუნივერსიტეტო გუნდმა გასული სეზონი უხეიროდ ჩაატარა და 16-გუნდიან თურქულ სუპერლიგაში მე-14 ადგილი დაიკავა, რითაც ბეწვზე გადაურჩა ქვედა ლიგაში დაქვეითებას.

# მორაგბეთა ნაკრები მე-13 პოზიციაზე ალზევდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, რომელმაც ინგლისის მსოფლიო თასისთვის მზადების მეორე ფაზა დაასრულა, გუშინ ღამით პოლონეთში გაემგზავრა კიდევ ერთი შეკრებისთვის.

სანამ შეკრებაზე ვიტყოდეთ, მანამდე ერთი სასიამოვნო ინფორმაცია – ჩვენი ნაკრები მსოფლიო რეიტინგში ჯერჯერობით მისთვის საუკეთესო მე-13 საფეხურს დაუბრუნდა.

„ბორჯღალოსანთა“ წინსვლაში იაპონელთა ხელი ურევია, რომლებმაც „წყნარი ოკეანის თასზე“ ზედიზედ ორჯერ წააგეს.

მიუხედავად იმისა, რომ „ბორჯღალოსნები“ თამაშების მხრივ უქმობენ, მათი მზადების პარალელურად მეორე დონის 6 ქვეყანა „მსოფლიო რაგბიზე“ ერთმანეთში არკვევდა ურთიერთობას. სწორედ მასში განვითარებული მოვლენების დამსახურებაა რეიტინგში ჩვენი დაწინაურება.



იაპონიამ კანადა 20:6 დაამარცხა, მაგრამ შემდეგ ერთბაშად ორი მარცხი იწვნია – აშშ-სთან – 18:23 და ფიჯისთან – 22:27.

ასე რომ, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2007 წლის საშემოდგომო ნიშნულს – მე-13 ადგილს დაუბრუნდა.

სადღეისოდ „მსოფლიო რაგბის“ რეიტინგში სხვა ცვლილება არ მომხდარა და საქართველოს ნაკრებზე წინ მყოფი გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

1.ახალი ზელანდია 94,33 ქულა; 2.სამხრეთი აფრიკა 86,37; 3.ირლანდია 85,76; 4.ინგლისი 85,40; 5.ავსტრალია 85,23; 6.უელსი 84,07; 7.საფრანგეთი 79,74; 8.არგენტინა 77,17; 9.სამოა 76,15; 10.ფიჯი 76,02; 11.შოტლანდია 74,79; 12.ტონგა 74,51.

ახლა შეკრებაზე: თბილისური მეორე ეტაპზე, რომელიც „შევარდენზე“ 27 ივლისს განახლდა და გუშინ დასრულდა, როგორც სამწვრთნელო შტაბი გვპირდებოდა, ვარჯიშების სირთულემ და ოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა. თუმცა, მილტონ ჰეიგის განცხადებით, გუნდი ამ დატვირთვას თავს კარგადართმევს, რაც 30 ივლისს ნაკრების ღია ვარჯიშზე ნათლად გამოჩნდა.

ალსანიშნავია, რომ ტრავმა მოიშუშა და გუნდს შეკრებაზე ლევან დათუნაშვილი დაუბრუნდა. ამ უკანასკნელმა თბილისის თასის წლევანდელი გათამაშების მესამე ტურში მუხლი დაიზიანა და მას შემდეგ რეაბილიტაციას გადიოდა.

მილტონ ჰეიგი, ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი:

– მორაგბეები უკვე მიეჩვივნენ იმ ინტენსიურ ვარჯიშებს და მენტალურ მოთხოვნებს, რომლებსაც ჩვენ მათ სავარჯიშო განრიგში ვსვამთ. ისინი დღეს ბევრად უფრო გრძელ და ინტენსიურ ვარჯიშებს ასრულებენ ვიდრე 5 კვირის წინ და ამ ყველაფერს საკმაოდ ადვილად ართმევენ თავს. ეს აშკარად ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ამჟამად ისინი ბევრად უკეთეს ფორმაში არიან, ბევრად უფრო ძლიერები და სწრაფები, ვიდრე შეკრებამდე იყვნენ და ეს სწორედ ის შედეგია, რაც პოლონეთში წასვლამდე გვინდოდა მიგვეღო. ის მოთამაშეები, რომლებსაც ტრავმები ჰქონდათ, საკმაოდ კარგად შეუერთდნენ გუნდს და ვარჯიშების შემდგომი ეტაპიდან ეს ყველაფერი უფრო და უფრო უკეთესობისკენ წავა. ინგლისში წასვლამდე 3 კვირით ადრე ძალიან მნიშვნელოვანია გუნდის ტექნიკური და ფიზიკური წინსვლა, ხოლო იქ უკვე ტაქტიკურ ვარჯიშებზე გადავალთ, რაც ჩვენი საკონტროლო მატჩებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება.

## შედეგები

**3 აგვისტო**

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა** | |
| ლაიფციგი-ფიურტი | 2:2 |
| **საფრანგეთი. მე-2 ლიგა** | |
| ნანსი-ტური | 0:0 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | |
| სპარტაკი-რუბინი | 1:0 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| კორონა-რუხი | 1:2 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ნორდსიელანდი-ოლბორგი | 2:1 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| სუნდსვალდი-ჰამარბი | 3:0 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | |
| კტპ-ვაასა | 0:0 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მალხაზ ასათიანი: „ფეხბურთი არ მაინტერესებს, საქართველოში ვარ და ცხოვრებით ვტკბები“

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი, მალხაზ ასათიანი, იმის მიუხედავად, რომ აქტიურ ფეხბურთს კარგა ხანია ჩამოშორდა, რუსეთში ახლაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ჩვენებურს კარიერის დიდი ნაწილი მოსკოვის „ლოკომოტივში“ აქვს გატარებული.



ასათიანს სადღეისოდ ფეხბურთთან არანაირი კავშირი არ აქვს, მაგრამ რუსულ მედიასთან ინტერვიუში სამომავლოდ სამწვრთნელო საქმიანობას არ გამორიცხავს. მას გუშინ, 4 აგვისტოს, 34 წელი შეუსრულდა.

***– რას საქმიანობთ?***

– ვისვენებ.

***– რამდენი წელია?***

– ჩათვალეთ, რომ 2010-დან. რაც კარიერა დავასრულე, ვისვენებ. განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. ჩემთვის საქართველოში ვცხოვრობ, ხან ზღვაზე დავდივარ, ახლა სურამში ვარ.

***– ფეხბურთთან რამე გაკავშირებთ?***

– ფეხბურთი დავამთავრე. მეყოფა. ხომ ვთქვი, რომ ვისვენებ.

***– ფეხბურთის თამაში იმდენად რთული იყო, რომ მატჩების ტრანსლაციების ყურებაც აღარ გხიბლავთ?***

– მართლაც რთული იყო. „ლოკომოტივსა“ და კიევის „დინამოში“ მხოლოდ ოქროს მედლებისთვის, ქვეყნის თასისა და ევროთასებისთვის ვიბრძოდით. ნებისმიერი წაგება ძალიან მტკივნეული იყო. ამას დაუმატეთ ტრავმები და კონკურენცია. ფეხბურთი მიყვარს, მაგრამ კარიერის დროს მძაბავდა. ახლა ზოგჯერ მოყვარულებთან ერთად ვთამაშობ და ვდუნდები. ეს უფრო სახალისოა. პროფესიულ ფეხბურთზე საუბარიც არ მსურს.

***– თქვენ სპარტაკელი ვასილი ბარანოვი ნამდვილად არ ხართ, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ დაიკარგა. ამბობენ, რომ ბელარუსშია და კონტაქტზე საერთოდ არ გამოდის. თქვენთან დაკავშირება კი მთაშიც შეიძლება.***

– ზოგიერთ ყოფილ თანაგუნდელს პერიოდულად ვეხმიანები – დიმა სენიკოვს; დიუმოვიჩს, იგორ სმოლნიკოვს. ვისაც ვურეკავ, ჩემსავით ფეხბურთისგან ისვენებენ.

***– ურთიერთობის ფართო არეალი გაქვთ – წარსულიდან მომავალში.***

– სმოლნიკოვი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მახსოვს. მას ვამხნევებდი. მასზე, როგორც ტალანტზე საუბრობდნენ, რომელსაც დიდი მომავალი აქვს, მაგრამ თავისი თამაში დიდი ხანი ვერ იპოვა. ის „ტორპედოდან“ წამოიყვანეს. როდესაც მოედანზე დავინახე გავიფიქრე, რომ ამ ბიჭს კარგი შანსი აქვს. მასზე სწრაფი მხოლოდ თვითმფრინავი იყო. მართალია, მასზე 7 წლით უფროსი ვარ, მაგრამ მეგობრობამ ასაკში სხვაობა არ იცის.

***– მას დაცვაში თამაშს ასწავლიდით? თქვენთვის ხომ კარგადაა ცნობილი ცენტრალური ნახევარმცველიდან ცენტრალურ მცველად გადასხვაფერება.***

– ის ჩვენთან ნახევარმცველად მოვიდა, ჩემთვის კი „ლოკომოტოვში“ მთავარი თამაში იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა – დაცვაში თუ თავდასხმაში. ამის შესახებ სმოლნიკოვსაც ვეუბნებოდი. თუმცა, თავდაპირველად მას მცველად არ აღიქვამდნენ. ეს მოგვიანებით შეიცვალა შეხედულებები ფლანგზე თამაშის შესახებ.

***– რუსეთის ჩემპიონატს თვალს თუ ადევნებთ?***

– ზოგჯერ რუსეთის ჩემპიონატს ვუყურებ, მაგრამ მხოლოდ ტოპმატჩებს, სადაც უბრალოდ 3 ქულისთვის კი არა, არამედ, მედლებისთვის იბრძვიან. ძალიან მომწონს ცსკა, რომელიც ყოველ მატჩში ინდომებს და მის ფეხბურთელებს ოსტატობაც არ აკლიათ.

***– სერგეი იგნაშევიჩი, რომელიც ცსკაში ცენტრალურ მცველად თამაშობს, თქვენზე 2 წლითაა უფროსი, ძმები ბერეზუცკები 1 წლით უმცროსები არიან, მაგრამ ჯერ დასვენებას არ აპირებენ.***

– მათ შეძლეს, თავიანთ გუნდში ფეხი მოეკიდებინათ და დიდი ხნით დარჩენილიყვნენ. რუსეთის ნაკრებშიც შემცვლელები ვერ მოუძებნეს. ისინი სტაბილურები არიან. ამიტომ ყველას თავისი გზა აქვს.

***– რუსეთზე როგორი მოგონება დაგრჩათ?***

– რუსეთზე როდესაც ვფიქრობ, „ლოკომოტივსა“ და ყველაფერს კარგს ვიხსენებ. ყველაფერი კარგი კი იური სიომინია და რაც მას უკავშირდება, ასევე – კლუბის პრეზიდენტ ვალერი ფილატოვს. ასე არა მხოლოდ მე, არამედ, ისინიც ფიქრობენ, ვინც იმ პერიოდში „ლოკომოტივში“ თამაშობდა.

***– სადღეისოდ „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი იგორ ჩერევჩენკოა, რომელსაც ოლეგ პაშინინი და სარკის ოგანესიანი ეხმარებიან. ძველი დრო ბრუნდება?***

– ამ ბიჭებს ვიცნობ. ისინი დამწყებები არიან და დრო სჭირდებათ მინიმუმ ორი წელი. უფრო ნაკლებ დროში მწვრთნელისთვის გუნდის ჩამოყალიბება რთულია.

***– თუმცა, „ლოკომოტივში“ მწვრთნელებს დიდხანს არ აჩერებენ.***

– მართალია და ეს ძალიან ცუდია. ამ შემთხვევაში სტაბილურობა, გადაწყვეტილებების მიღების, ფეხბურთელების შერჩევისა და შეთამაშების დრო, თავდაჯერება არაა.

***– თქვენი თაობის „კაშკაშა“ წარმომადგენელი დმიტრი სიჩოვი იყო, რომელმაც, ეტყობა, კარიერა უკვე დაასრულა. ამის მიზეზი რა არის?***

– ჩემი აზრით, მას ხელი ტრავმებმა შეუშალა. ასე რომ არ ყოფილიყო, დღემდე ითამაშებდა. სიჩოვი იმ ფეხბურთელების რიცხვს ეკუთვნის, რომლებზეც ასაკი არ მოქმედებს. იგი ძალიან ნიჭიერი იყო, გოლის გასატანად პოზიციას საუცხოოდ არჩევდა, მაგრამ ყველაფერი რალაც უცბად დაასრულა.

***– ისევე, როგორც „სპარტაკში“ დაიწყო.***

– სამწუხაროდ, ფეხბურთში წინასწარ რაიმეს განსაზღვრა რთულია. კარიერა მაშინ კი არ დავასრულე, როდესაც მსურდა ან უკვე მომწიფებული ვიყავი, არამედ, როცა მეიმედებოდა, რომ კიევის „დინამოს“ შემდეგ შესაბამის გუნდს მოვძებნიდი. გუნდებს ხომ უბრალოდ არასოდეს ვიცვლიდი, ხოლო დაუფიქრებლად სადმე წასვლა რთული იყო. ამის შემდეგ დრომ ძალიან სწრაფად გაირბინა. დასვენება დავიწყე და ფეხბურთისგან გვერდზე თავისთავად აღმოვჩნდი.

***– პირველ დივიზიონში გადასვლა არ გსურდათ?***

– საწყის პერიოდში შესაძლოა ვნანობდი, რომ თამაში არ გავაგრძელე, მაგრამ ახლა ამის თაობაზე უარყოფითი ემოცია არ მაქვს.

***– იმის შეგრძნება არ გაქვთ, რომ კარიერაში ბოლო სიტყვა ჯერ არ გითქვამთ?***

– შესაძლოა, იქნებ კიდევ ვთქვა, ოლონდ მწვრთნელის რანგში. თუმცა, ამჟამად რაიმეს ვერ დავაკონკრეტებ. გეგმები არ მაქვს. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით საქართველოში ვარ და ცხოვრებით ვტკბები.

# საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები დღეიდან სპარინგებს იწყებს

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები დღეიდან სპარინგ მატჩებსაც იწყებს. ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მესამედ გასული საქართველოს ეროვნული გუნდი ტრადიციას არ ღალატობს და მესამე ზაფხულია, შეკრების ადგილად ევროპის ცენტრში მდებარე მყუდრო და მაქსიმალურად კომფორტულ დაბა პოდჩეტრტეკს არჩევს.

სლოვენიის ამ საკურორტო დაბაში ევროსტანდარტების ულტრათანამედროვე სპორტული კომპლექსი „ტერმე ოლიმია“ განთავსებული, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებები (მათ შორის არასაკალათბურთოც) და გუნდები გადიან შეკრებებს. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სწორედ „ტერმე ოლიმიას“ დარბაზში მოუწევს საწყისი 2 მოსამზადებელი მატჩის ჩატარება. პოდჩეტრტეკში ქართველებთან სასპარინგოდ ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრები ჩავა – მატჩები 5 და 6 აგვისტოს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ სლოვენიაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეუერთდნენ სერბი მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი და მისი ამერიკელი ასისტენტი ჯეისონ სტაუდტი. ნაკრებს 30 ივლისს შეუერთდა ნატურალიზებული ამერიკელი გამთამაშებელი ჯეიკობ პულენი, ხოლო 1 აგვისტოს პოდჩეტრტეკში ზაზა ფაჩულიას ჩასვლით ეროვნული ნაკრები სრული, გაფართოებული შემადგენლობით შეიკრიბა.

მთლიანობაში ნაკრების 18-მა კანდიდატმა მოიყარა თავი, საიდანაც, მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, საუკეთესოები შეირჩევა და ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი შემადგენლობაც საბოლოო სახეს მიიღებს. ეს, სავარაუდოდ, თბილისის „მერიის თასის“ (14-16 აგვისტო) დასრულების შემდეგ მოხდება. აქვე დავძენთ, რომ ბოსნიასთან ზემოთ ხსენებულ 2 სპარინგ-მატჩთან ერთად ქართველებს მოსამზადებელ ციკლში კიდევ 8 შეხვედრის გამართვა მოუწევთ. თბილისის „მერიის თასის“ ფარგლებში კოკოშკოვის გუნდი იტალიას, ლატვიასა და ესტონეთს ეთამაშება. საქართველოს 2 მატჩი ელის ქალაქ როანში – 21-22 აგვისტოს მასპინძელ საფრანგეთთან და ბელგიასთან, ხოლო მოსამზადებელ ციკლს იტალიის ქალაქ ტრიესტში დაასრულებს, სადაც ადგილობრივ ნაკრებთან ერთად რუსეთს და ამერიკის სტუდენტური ლიგის ოთხთა ფინალის მონაწილე მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდს შეხვდება.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

2015, 5 აგვისტო, №181



# კანკავა „რეიმსში" გადადის, „დნიპროს" ცინცაძე სურს

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა უახლოეს პერიოდში კლუბს გამოიცვლის და დნეპროპეტროვსკის „დნიპროდან" თავს ფრანგულ „რეიმსში" ამოყოფს. ამაზე უკვე აქტიურად საუბრობს როგორც ფრანგული, ასევე უკრაინული მედია.

უკრაინული და ფრანგული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, საქართველოს ნაკრების კაპიტნის კონტრაქტი 3-წლიანი იქნება.

„რეიმსი" ჩვენებურის სანაცვლოდ 800.000 ევროს იხდიდა, „დნიპროს" კი 29 წლის კანკავა 1,5 მილიონ ევროზე ნაკლებად არ ეთმობოდა.

საბოლოოდ კლუბები კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმდნენ – „რეიმსი" 1.200.000 ევროს გადაიხდის.

გეტყვით, რომ „რეიმსი" გასულ საფრანგეთის ჩემპიონატში მე-14 ადგილზე გავიდა და 7 ქულით ასცდა გასავარდნ ზონას.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ „დნიპრომ" კანკავას შემცვლელიც შეიგულა – ასევე ქართველი მათე ცინცაძე, რომელიც თბილისის „დინამოს" ღირსებას ითხოვს. მოარული ხმებით უკრაინელები ცინცაძეში 600.000 დოლარის გადახდას აპირებენ.

# საქართველოს კანოეს ფედერაცია ევროპის ჩემპიონატის ჩატარებას აპირებს



საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის ვიცეთავმჯდომარე და ევროპის კანოეს ასოციაციის პრეზიდენტი ალბერტ ვუდსი, ევროპის კანოეს ასოციაციის ტექნიკური დირექტორი ანდრეი იელეცი და საქართველოს კანოეს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქაცარავა ესტუმრნენ. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან მათ მასპინძლობა ვიცეპრეზიდენტმა მამუკა ხაბარელმა გაუწია.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში ოლიმპიური დისციპლინის, სლალომის განვითარების საკითხი. ჩვენს ქვეყანას 2017 ან 2019 წელს ამ სახეობაში ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. საამისოდ სტუმრებმა შეისწავლეს ბუნებრივი პირობები და ინფრასტრუქტურა.

საქართველოში სლალომი უცხო ხილი არ არის, თუმცა ბოლო შეჯიბრება კარგა ხნის წინ, 1981 წელს ჩატარდა. გადაწყდა, რომ ევროპის კანოეს ასოციაცია ქართულ მხარეს სპორტსმენების მომზადებაში, აღჭურვილობის შეძენაში, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სხვა პრაქტიკულ საკითხებში დაეხმარება.

გადაწყვეტილებას საქართველოში ევროპის პირველობის გამართვასთან დაკავშირებით წლის ბოლოსთვის მიიღებენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# „ბასიანი" საეკლესიო მუსიკის ფესტივალზე მიიწვიეს

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი „ბასიანი" კუნძულ ვალაამზე მიიწვიეს, რომელიც განთქმულია სამონასტრო ცხოვრებით. აქ გაიმართა საეკლესიო მუსიკის ფესტივალი. ფესტივალზე ადგილობრივ გუნდებთან ერთად მოწვეულნი იყვნენ გუნდები საბერძნეთიდან, სერბეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან და საქართველოდან. ამ უკანასკნელს წარმოადგენდა ანსამბლი „ბასიანი".

– ფესტივალზე ქართულმა ტრადიციულმა მრავალხმიანობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სწორუპოვრობა! – აცხადებს ანსამბლის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე.

ანსამბლისთვის უცხოეთში გასტროლები და კონცერტების ჩატარება უცხო არ არის. „ბასიანი" ესპანეთშიც მიიწვიეს, სადაც მომღერლებმა სოლოკონცერტები გამართეს მადრიდში, სანტანდერსა და ზარაგოზაში. კონცერტების პარალელურად, ცნობილ ესპანელ მუსიკის მკვლევარ პოლო ვალეჰოსთან ერთად „ბასიანმა" მასტერკლასებიც ჩაატარა.

ანსამბლი წელს იუბილარია. მას დაარსებიდან 15 წელი შეუსრულდა. იუბილეზე ანსამბლმა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში სოლოკონცერტი გამართა და სრულიად ახალი პროგრამით წარდგა მსმენელის წინაშე. ანსამბლი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. მისი სახელწოდება ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონიდან მომდინარეობს. ანსამბლის ხელმძღვანელი გიორგი დონაძეა. იგი გახდა ბირთვი თბილისში მშენებარე ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა დიდი გუნდისა. „ბასიანი" ძირითადად ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებს, ხოლო სამების საკათედრო ტაძრის გუნდთან ერთად – ტრადიციულ ქართულ საგალობლებს. „ბასიანი" მგალობელთა გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შესრულებულ ყველა ღმრთისმსახურებასა და მომლოცველობით მოგზაურობაში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. „ბასიანი" დაკომპლექტებულია ახალგაზრდა მომღერლებით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მათი უმრავლესობა ტრადიციული მომღერალთა ოჯახის წარმომადგენელია. ანსამბლის წევრებს ბავშვობიდან აქვთ გავლილი საშემსრულებლო სკოლა ხალხური სიმღერის სხვადასხვა ანსამბლში. „ბასიანის" რეპერტუარი მოიცავს ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ნიმუშებს, ხალხურ სიმღერებსა და საეკლესიო საგალობლებს. ანსამბლი აღნიშნულ ნიმუშებს აცოცხლებს უნიკალური საარქივო, ფონო და სანოტო ჩანაწერებიდან, უშუალოდ შეისწავლის სიმღერებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე უფროსი თაობის გამოჩენილი ლოტბარებისა და მომღერლებისაგან. ანსამბლი ეწევა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ ეთნომუსიკოლოგებთან. ანსამბლმა საერთაშორისო ასპარეზზეც მოიპოვა ფართო აღიარება, მას ჰქონდა წარმატებული გამოსვლები მსოფლიოში ცნობილ საკონცერტო დარბაზებსა და საერთაშორისო ფესტივალებზე, იმოგზაურა მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში და გამართა 200-ზე მეტი კონცერტი. ანსამბლს გამოცემული აქვს 6 აუდიო და 1 ვიდეოალბომი. მათი ალბომი ექსკლუზიურად გამოსცა საფრანგეთის ერთ-ერთმა ცნობილმა რადიომ და ის ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ყველაზე მასშტაბურია „ბასიანის" ბოლო ნამუშევარი, 4 კომპაქტდისკისაგან შედგენილი აუდიოკრებული, სადაც შესულია 102 ქართული ხალხური სიმღერა და ტრადიციული საგალობელი.



მედიცინა

# როგორ ვუშველოთ ადამიანს, თუ მას დენმა დაარტყა

ელექტროტრავმას იწვევს მუდმივი და მაღალი სიხშირის დენი.

დაზიანება შეიძლება მოხდეს მეხის მოქმედების შედეგადაც. პათოლოგიური მოქმედება დამოკიდებულია ელექტროდენის სიმძლავრეზე, ძაბვაზე და მოქმედების ხანგრძლიობაზე. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ორგანიზმის ზოგად მდგომარეობას, კანს, ტანსაცმელს, ასაკს და სხვ. ელექტროდენის მიმართ ორგანიზმის რეაქცია ინდივიდუალურია. მისი მოქმედების შედეგად ირღვევა ქსოვილებისა და უჯრედების ბიოქიმიური სტრუქტურა; განსაკუთრებით ვლინდება მისი პათოლოგიური მოქმედება ცენტრალური ნერვული სისტემისა და კუნთოვანი აპარატის სპეციფიკურ უჯრედებზე.

კლინიკური სურათი გამოვლინდება ადგილობრივი და ზოგადი მოქმედებით. ელექტროდენის ერთჯერად დარტყმას შეიძლება მოჰყვეს უეცარი სიკვდილი გულის გაჩერების ან სუნთქვის დამბლის გამო. ამ დროს სწრაფად ვითარდება ციანოზი. კანი ცივია, ზოგს აქვს ეპილეფსიის მაგვარი კრუნჩხვები.

გულის გაჩერების გამო მაჯა და არტერიული წნევა არ ისინჯება, გულის ტონები არ ისმის, მაგრამ სუნთქვა გრძელდება კიდევ რამდენიმე წუთის განმავლობაში. სუნთქვის დამბლის დროს კი სუნთქვა ჩერდება, მაჯა და გულის ტონები კი შეიძლება რამდენიმე წუთის განმავლობაში იყოს.

**პირველი დახმარება**

დაშავებული ადამიანი დაუყოვნებლივ უნდა გამოითიშოს ელექტროდენის მოქმედებიდან. ამისთვის დენი უნდა გამოირთოს. მშველელს თუ ხელთ არაფერი აქვს, შეუძლია ხელზე მშრალი ტილო ან ქაღალდი შემოიხვიოს და დაზარალებული ტანსაცმლის მშრალი ნაწილით გამოათრიოს, ეცადოს, კანზე ნუ შეეხება. დენიანი მავთულის მოშორება შეიძლება ხის მშრალი ჯოხით, რეზინის ხელთათმანით. დაშავებულის დენის ზემოქმედებიდან გამოყვანა შესაძლოა გამოშვერილ ან შეკრულ ქამარში ხელის ჩაჭიდებით. თუ დენი კვლავ გადის დაშავებულის სხეულში, მისი გამოყვანა ისეა საჭირო, რომ არ დაზიანდეს ის პირი, რომელიც შველის მას.

დაახლოებით 10 წამის განმავლობაში უნდა შეფასდეს, სუნთქვა არის თუ არა გაჩერებული. ამისთვის დაზიანებული მყარ ზედაპირზე გულაღმა დააწვინეთ, ნიკაპი ორი თითით აუწიეთ, თავი ოდნავ უკან გადაუწიეთ, ყური ცხვირ-პირს მიუახლოვეთ ისე, რომ თქვენი სახე დაზარალებულის ტერფებისკენ იყურებოდეს, იგრძენით სუნთქვა ლოყაზე, დააკვირდით, მოძრაობს თუ არა გულ-მკერდი.



თუ დაზიანებული არ სუნთქავს, უნდა ჩაუტარდეს ხელოვნური სუნთქვა: ნესტოებს მაგრად მოუჭირეთ ხელი, თქვენი ტუჩები მჭიდროდ უნდა ეკვრებოდეს მის გაღებულ პირს. ღრმად ჩაისუნთქეთ და ღრმადვე ჩაბერეთ, სანამ გულ-მკერდი არ ამოიზნიქება. თუ დაზიანებული ჩვილი ბავშვია, თქვენი ტუჩები მის ცხვირს და პირს ერთდროულად დააკარით და ფრთხილად ჩაბერეთ, სანამ გულ-მკერდი არ ამოიზნიქება. შემდეგ პირი მოაშორეთ და დააცადეთ, გულ-მკერდი ჩაიზნიქოს, შემდეგ ისევ ჩაბერეთ და ა.შ., სანამ არ შენიშნავთ, რომ გულ-მკერდი თავისით ამოიზნიქა და ჩაიზნიქა. ასეთ შემთხვევაში კიდევ ორჯერ ჩაბერეთ და სისხლის მიმოქცევის ნიშნებს დააკვირდით (ამასაც დაახლოებით 10 წამი სჭირდება): სუნთქვას, მოძრაობას, ნერწყვის ჩაყლაპვას ან ჩახველებას. თუ ჩანს სისხლის მიმოქცევის ნიშნები, დაახველებს ან გამოძრავდება, მაგრამ არ სუნთქავს, კვლავ ფრთხილად ჩაბერეთ ფილტვებში, დაახლოებით ყოველ 3 წამში ერთხელ, სანამ თვითონ არ დაიწყებს სუნთქვას. პროცესი გააგრძელეთ, სანამ სასწრაფო დახმარება არ მოვა, ან დაზარალებული არ დაიწყებს სუნთქვას.

თუ სისხლის მიმოქცევის ნიშნები არ არის, გული გაჩერებულია, საჭიროა, დაუყოვნებლივ ჩატარდეს გულის დახურული მასაჟი. კერძოდ: დაშავებული წევს მყარ ზედაპირზე, თუ ის ჩვილია, ცალი ხელი დაადეთ თავზე, მეორე ხელის ორი თითის წვერი კი – მკერდის ძვლის ქვედა ნაწილზე, მკვეთრად დააწექით და თითები გულ-მკერდის სიღრმის 1X3-ზე ჩაიყვანეთ. ეს მოძრაობა 3 წამში 5-ჯერ გააკეთეთ. შემდეგ ერთხელ ჩაბერეთ, ისევ გულის მასაჟი ჩაუტარეთ და კვლავ ჩაასუნთქეთ. ასე გაიმეორეთ ერთი წუთის განმავლობაში და დააკვირდით, გაჩნდა თუ არა სისხლის მიმოქცევის ნიშნები. თუ დაშავებული მოზრდილია (იგი წევს გულაღმა, თავი უკან აქვს გადაწეული), გულმკერდზე იპოვეთ წერტილი, სადაც ქვედა ნეკნები მკერდის ძვალს უერთდება, შუა თითი მკერდის ძვლის ბოლოში დაადეთ, საჩვენებელი თითი კი – უფრო ზემოთ. მეორე ხელისგული მკერდის ძვალზე ქვემოთ ჩააცურეთ, სანამ ორ თითს არ შეხვდება. ამ წერტილში ხელის გულით მკვეთრად დააწექით და გულ-მკერდის სიღრმის 1X3-ზე ჩაიყვანეთ. დანარჩენი ისევე კეთდება, როგორც ჩვილი ბავშვის შემთხვევაში.

გულის მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა მანამ ჩაატარეთ, სანამ დაზიანებული გონს არ მოვა ან სასწრაფოს მანქანა არ მოგისწრებთ.

ზოგადად გულის მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა მანამ ტარდება, სანამ არ აღდგება სუნთქვა, ან სანამ არ გამოჩნდება სიკვდილის უტყუარი ნიშნები – გვამური ლაქები და გაშეშება.

მედიკამენტური მკურნალობა სიმპტომურია, ავადმყოფს უტარდება ინტენსიური თერაპია. გამოიყენება საგულე საშუალებები, გულის კუნთში კეთდება ადრენალინი, უკიდურეს შემთხვევაში, აკეთებენ თორაკოტომიას (გულ-მკერდის ღრუს ხსნიან) და გულის პირდაპირ მასაჟს.

ზოგჯერ, მდგომარეობის აღდგენის შემდეგ, რამდენიმე დღე დაზიანებულს რჩება ზოგადი სისუსტე, თავის ტკივილი, უძილობა, გულისრევის შეგრძნება. გამოჯანსაღების პერიოდში ავადმყოფს აღენიშნება შენელებული პულსი, გაიშვიათებული ღრმა სუნთქვა, შარდის შეკავება, მეტეორიზმი, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ცენტრალური ნერვული სისტემის, თირკმლებისა და ღვიძლის მდგომარეობა.

# ასტროპროგნოზი

5 აგვისტოსათვის



**ვერძი** – ნუ იჯიუტებთ, თორემ ოჯახურ კონფლიქტს ვერ ასცდებით. ახალი ინფორმაცია და საშინაო საქმეები თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედეთ. **კურო** – ვარსკვლავები გწყალობენ. მშვიდი და ჰარმონიული დღეა. ყველაზე სარისკო ოპერაციებიც კი თამამად დაგეგმეთ. **ტყუპები** – პლანეტები დიდ გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ყველა საქმე გამოგდით. მომავალი თამამად დაგეგმეთ. **კირჩხიბი** – ეს დღე დიდხანს დაგამახსოვრდებათ, ვინაიდან ის იქნება ჰარმონიული, მშვიდი და ოპტიმიზმით აღსავსე. კარგი პერიოდია სამოგზაუროდ წასასვლელად. **ლომი** – ნუ იჯიუტებთ, თორემ ოჯახურ კონფლიქტს ვერ ასცდებით. გაუფრთხილდით ურთიერთობას მეგობრებთან და ახლობლებთან. **ქალწული** – ახალი ინფორმაცია და საშინაო საქმეები თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. რჩევისა და დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. გაიფართოვეთ ნაცნობების წრე. თქვენი კომუნიკაბელურობა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ. **ღრიანკალი** – მოულოდნელად მოვლენები თქვენ სასარგებლოდ იცვლება. ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** – ვარსკვლავები გწყალობენ. მშვიდი და ჰარმონიული დღეა. ყველაზე სარისკო ოპერაციებიც კი თამამად დაგეგმეთ. **თხის რქა** – თავს დაძაბულად და უენერგიოდ გრძნობთ. ერიდეთ სასიყვარულო ურთიერთობებს. იმედგაცრუება გელით. **მერწყული** – საკმაოდ მძიმე დღეა. ბედი გამოცდას გიწყობთ. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. ეცადეთ, სხვების გავლენის ქვეშ არ მოექცეთ. **თევზები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. არ გარისკოთ. მოსალოდნელია კონფლიქტი საქმიან პარტნიორთან, რომელიც თქვენ სასარგებლოდ გადაწყდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. წმინდა ოქრო; 2. მდინარის ჩამოტანილი სილა, თიხა, ღორღი; 3. დედამიწის აგებულებისა და შემადგენლობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. მოხატული და ორნამენტებით შემკული ჭერი; 5. ყურძნის დასაწური, გულამოღებული ხის მოგრძო ჭურჭელი; 9. უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი; 12. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 14. ბუდისტთა სამლოცველო იაპონიასა და ჩინეთში; 15. ყველაზე დაბალი რეგისტრის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. შიკრიკი, ამბის მომტანი; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

**თარაზულად:** 6. სოფელი ხევსურეთში; 7. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 8. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 10. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 11. ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი; 13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ყოველწლიური წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 16. ერთად აკინძული სურათების, ილუსტრაციების, ნახაზების კრებული; 19. თამბაქოში არსებული ალკალოიდი; 20. მხარე გერმანიაში.



*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პლანტაჟი; 2. ისტვუდი; 3. ლინზა; 4. ბოლიწო; 5. რუსტიკა; 10. შორაპანი; 11. ქსენოფობია; 12. სტაიერი; 15. ინდონეზია; 16. ალონსო; 17. წირქოლი; 20. ტონგა.

.**თარაზულად:** 6. ალექსანდრია; 7. გოლეული; 8. აჯამეთი; 9. ნაბადი; 13. ხაჭო; 14. ესთეტი; 18. დივიდენდი; 19. ჰიუგო; 21. ბორტი; 22. კოვბოი; 23. ვირსალაძე; 24. კვარიათი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყვირილა; 2. ბლუზი; 3. გროტესკი; 4. ეფემერა; 5. ვირსალაძე; 9. მანილა; 12. პაროდია; 14. ვასალი; 15. ეტნა; 17. ვალიო; 18. აჟიო.

**თარაზულად:** 6. ავრალი; 7. გრინფისი; 8. კრუიზი; 10. ბედია; 11. სანგვინიკი; 13. შვიდეული; 16. მართვე; 19. ჟორდანია; 20. „კიმიგაიო.

# ლეილა აბაშიძე 86 წლისაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რომლებიც თურმე მოუთმენლად ელოდნენ ჩემს გამოჩენას და ტაშით მხვდებოდნენ.

იმ პერიოდში ჩემ და მამას პორტრეტთან ერთად გაზეთში დაიბეჭდა სტატია. ეს იყო პირველი რეცენზია, რომლითაც მე მალიარა მაყურებელმა. ძალიან დიდხანს არ ვიცოდით, რა ბედი ეწია რეპრესირებულ მამას. მხოლოდ წლების შემდეგ მივიღეთ დახვრეტის ოქმი. დედას გამოუცხადეს, რომ მისი მეუღლე დახვრიტეს. ოქმში წერია, დახვრეტის წინ რომ გაჰყავდათ მამა, ოჯახის წევრების ჩამონათვალია, მოხსენიებულია ახლად დაბადებული ვაჟი და არის ზედ მამას ბოლო ხელმოწერა სიკვდილის წინ. პატარა ვიყავი და დროებით ინტერნატში მიმაბარეს, ციმბირშივე გაჩნდა ჩემი მესამე ძმაც. იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და დედა იძულებული გახდა, შვილებთან ერთად საქართველოში დაბრუნებულიყო.

იუბილარი მსახიობის კინოში გამოჩენა ფილმ „ქაჯანას" უკავშირდება, სადაც მის დედას ნატო ვაჩნაძე თამაშობდა:

– პირველად ეკრანზე გამოვჩნდი ფილმ „ქაჯანაში", სადაც კატოს როლს ვასრულებდი და პარტნიორობას ვუწევდი ნატო ვაჩნაძეს. ვიყავი 8 წლის, ქართული არ ვიცოდი, რადგან დაწყებითი განათლება რუსეთში მქონდა მიღებული და ახალი ჩამოსული ვიყავი საქართველოში ციმბირიდან. ჩემი მამიდა სიხარულით მეუბნებოდა, რომ გაზეთში განცხადება ნახა – ფილმისათვის სჭირდებოდათ ცელქი, ანცი გოგონა და მაგ დროს მეც ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი. ჩემთვის არც უკითხავთ, თუ მსურდა გადაღება, მაგრამ აზრიც არ ჰქონდა, რადგან მე ფილმი ნანახი არ მქონდა, რა იყო კინო, საერთოდ არ ვიცოდი. მიმიყვანეს სინჯებზე უშნოდ გაკრეჭილი, ჩაუცმელი, სასაცილო ბავშვი. შევედი ოთახში და როცა დავინახე ოციოდე გოგონა ერთმანეთზე უკეთესი კულულებით, ბაფთებით, ვიგრძენი, რომ ზედმეტი ვიყავი და სადღაც კედელთან გავჩერდი, ვიცოდი, რომ არ გამოვდგებოდი ამ საქმეში. მოვიდა ასისტენტი და მითხრა: გოგონა, თქვენ თავისუფალი ხართ, წაბრძანდითო. ძველ სტუდიაში ერთი რკინისრიკულებიანი კიბეა, იმას მოვაჯექი ბიჭურად და ბზრიალით დავეშვი ზემოდან, ვღილინებ რაღაცას და დავეჯახე ვიღაც კაცს. მას გაუკვირდა და მკითხა:



– გოგონა, საიდან მოდიხარ?

მე ვუპასუხე, ზემოდან-მეთქი.

– იქ რა გინდოდა?

ვუთხარი, რომ კინოში გადაღება მინდოდა, მაგრამ არ მოვეწონე და წამოვედი.

– ძალიან გინდა კინოში თამაში?

ვუპასუხე ძალიან, ძალიან-მეთქი! და, ეტყობა, იმდენი სურვილი ჩავაყოლე ამ ორ სიტყვაში, რომ მას გაეცინა, მომკიდა ხელი, მითხრა, ჩემთან წამოდიო და თურმე ეს იყო თავად ფილმის დამდგმელი რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი. შემეკითხა:

– და ან ძმა გყავსო? მე ვუთხარი, რომ ორი ძმა მყავდა,

– ძალიან ცუდი ამბავი უნდა გითხრა, შენი ძმა დამუნჯდა!

– რომელი? – ვიკითხე მე თურმე საშინლად ტრაგიკული ხმით.

– უფროსი! – მამიდამ უკარნახა და მე წავიშინე თავში ხელი, ველარ გამაჩერეს, ვტიროდი, ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა. ბოლოს და ბოლოს, დამაწყნარეს და თურმე ეს იყო სინჯები. ასე დამამტკიცეს როლზე.

ლეილა აბაშიძე არ მალავს, რომ მისი ბევრს შურდა, თუმცა ახალგაზრდობაში ამას არ იმჩნევდა და ყველაფერს მოთმინებით იტანდა:

– ახალგაზრდობაში არ ვამჩნევდი, რომ ჩემი შურდათ. მეგონა, ყველას უხაროდა ჩემი წარმატება. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა, ბევრმა, ვინც მოკეთე მეგონა, მიმტრო, გზა გადამიღობა... ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლე გასეირნებაა მარადიული ძილის წინ. მე არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც არ აფასებენ სიცოცხლის ყოველ წუთს. მე საკმაოდ მძიმე ცხოვრება გამოვიარე და მუდამ დაუოკებელი სურვილი მქონდა, ბედნიერი ვყოფილიყავი. ეს წყურვილი დღესაც მკლავს.

უდიდესი სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად ლეილა აბაშიძეს ქართველმა საზოგადოებამ კინოთეატრ „რუსთაველის" წინ ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავის გვერდით ვარსკვლავი გაუხსნა:

– როცა კინოთეატრ „რუსთაველის" წინ ჩემი ვარსკვლავი გახსნეს, იმ დღეს მეორედ დავიბადე. ადრე თუ გვიან აღარ ვიქნები ამქვეყანაზე და ეს ვარსკვლავი კი, სადაც ჩემი სახელი და გვარია ამოტვიფრული, მუდამ იარსებებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რამხელა პატივია ჩემთვის, მით უმეტეს, რომ ჩემი ვარსკვლავი დიდებული, გენიალური ქართველი მსახიობი ქალის, ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავის გვერდით გაიხსნა. დიდი მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ერს, ჩემს მაყურებელს, დიდი მადლობა ყველა იმ რეჟისორს, რომლებსაც ამ ვარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვით, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღვიქვამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართული კინო ისევ აღორძინდეს და უფრო მეტი ბრწყინვალებით წარდგეს მაყურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოტაა. მე მინდა, საქართველო ვარსკვლავების ქვეყნად იქცეს.

## „ბათუმის ეზოს ამბები" ბრუნდება

6, 7 და 8 აგვისტოს ბათუმში „ბათუმის ეზოს ამბები" ჩატარდება. ეს არის კულტურულ-სახელოვნებო ინიციატივა, რომელიც მხატვრების ერთობლივ შემოქმედებით პროცესს საზოგადოებრივ-საჯარო სივრცეში აერთიანებს.

საჯარო სივრცეს ბათუმის ერთ-ერთი უბნის ქუჩა და რამდენიმე ეზო წარმოადგენს, სადაც პროექტის ფარგლებში ბათუმელი, თბილისელი და უცხოელი მხატვრები ეზოს მცხოვრებლებთან ერთად საინტერესო პერსონალურ ისტორიებს, ოჯახებში არსებულ ფოტომასალებს, საყოფაცხოვრებო საგნებს, ეზოს ურბანულ-არქიტექტურულ გარემოსა და ყოველდღიურ ცხოვრებას ხელოვნების ენაზე გადათარგმნიან.

წელს „ბათუმის ეზოს ამბებში" მონაწილეობენ მხატვრები ნატალია ავალიანი, ქეთა ღვინეფაძე, გიორგი მაღრაძე, თამარ ჩადუნელი, გოჩა ულენტი, გიორგი ქათამაძე, გიორგი შენგელია, ქეთუ მეფარიშვილი, ზურა ჩართოლანი, იან პუდლოჟილოვი (ჩეხეთი, შვეიცარია), ალბერტ ალგეირი (ავსტრია), ფერნანდო მანველ დოს სანტოს მესკიტა (პორტუგალია), ფრენსის ბელზერი (შვეიცარია), ლია კარლ (ავსტრია), მაგდალენა სპარსკა (პოლონეთი).

ბათუმის ეზოს ამბების კურატორი მაგდა გურულია. სამდღიანი ღონისძიება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პარტნიორობით განხორციელდება.

## ლიკა ლაბაძე დაინიშნა

ცნობილი ტელეწამყვანი ლიკა ლაბაძე, რომელიც ფართო საზოგადოებამ „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მონაწილეობით გაიცნო, დაინიშნა. მისი რჩეული იტალიელი ჯუზეპეა. წყვილმა ერთმანეთი ამერიკაში გაიცნო.





ერთი წლის წინ ლიკა ლაბაძე „იმედის დილის" ტელემაყურებელს დაემშვიდობა და ნიუ იორკის დრამატული ხელოვნების, კინოსა და ტელევიზიის კონსერვატორიაში სასწავლებლად წავიდა.

რამდენიმე დღის წინ ლიკა საქართველოში ჩამოვიდა.'ის „იმედის დილის" ეთერში სტუმრად მიიწვიეს, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში იყო წამყვანი. ლიკამ პირდაპირ ეთერში გაამხილა, რომ ამერიკაში თავისი ცხოვრების სიყვარულს შეხვდა.

– ამერიკაში წასვლა იმიტომ ღირდა, რომ ჯუზეპეს შევხვდი, – ამბობს ტელეწამყვანი.

ჯუზეპე და ლიკა ნიუ იორკში ერთად სწავლობენ. ლიკას რჩეულს სასწავლებელში ჩასვლა ერთი კვირით დააგვიანდა. აუდიტორიაში შესვლისთანავე ყველას ყურადღება მიიქცია სასიამოვნო ღიმილით. მათ შორის აღმოჩნდა ლიკაც.

წარმოშობით იტალიელი ჯუზეპე საფრანგეთში სწავლობდა. პროფესიით ინჟინერია, პარალელურად, 16 წლიდან იყო მსახიობი და მოდელი, გასულ წელს კი გადაწყვიტა, ძალები ამერიკულ კინოინდუსტრიაშიც მოესინჯა.

ლიკა და ჯუზეპე მალე დამეგობრდნენ, ოთხი თვის შემდეგ კი მიხვდნენ, რომ მათ შორის მეგობრობაზე უფრო მეტი ხდებოდა. ჯუზეპემ ლიკა მიუზიკლ „ჩიკაგოზე" დაპატიჟა და სწორედ მაშინ მიხვდნენ, რომ ერთმანეთი მოსწონდათ.

ლიკა და ჯუზეპე დანიშნულები არიან. ლიკა ამბობს, რომ ძალიან ბედნიერია და, იმედი აქვს, რომ მთელ ცხოვრებას მასთან გაატარებს. წყვილს ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, რომელ ქვეყანაში იცხოვრებს. მათ მხოლოდ ის იციან, რომ ერთად ყოფნა უნდათ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ლარისა კუჭუხიძე, შვილი ვახტანგი, დები, ძმები, ცოლისძმები, ძმისშვილები, დისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ არსენის ძე ლემონჯავა**

პანაშვიდი: 5 აგვისტოს, 17 საათზე.

მისამართი:^თამარაშვილის №13, მე-2 სადარბაზო, მე-8 სართული, ბ.№41.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 6 აგვისტოს, 14 საათზე; საბურთალოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრიდან.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პარმენ ლემონჯავა ოჯახით სამძიმარს უცხადებს ოთარ არსენის ძე ლემონჯავას ძმის,

**ვახტანგ ლემონჯავას**

გარდაცვალების გამო.

ლემონჯავების საგვარეულო იუწყება ოთარ არსენის ძე ლემონჯავას ძმის,

**ვახტანგ ლემონჯავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

*ლემონჯავების საგვარეულოს სახელით, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პარმენ ლემონჯავა*

მეუღლე, დიანა ფრუიძე, შვილები, ლევან, ნატო, ეკა, სოფო, თამუნა ჯაფარიძეები, დისშვილი დათო ჯაფარიძე, დები ეთერ, ნინო, იამზე ჯაფარიძეები, შვილიშვილები ლევან, ხატია წიკლაურები და დავით, მაიკო კვიციანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლევან (ლეუშა) ჯაფარიძე**

გამოსვენება: მესტიის მაცხოვრის აღდგომის საკათედრო ტაძრიდან, 6 აგვისტოს, 15:00 საათზე.



ივერი და გოჩა ჭელიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 81 წლის ასაკში გარდაიცვალა საქვეყნოდ აღიარებული ვაჟკაცი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობა – სამბოში, საბჭოთა კავშირის პრიზიორი ჭიდაობა – სამბოში, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში, ბეჭდაუდებელი თბილისის პირველი ფალავანი ქართულ ჭიდაობაში. თემურ ბაბლუანის ფილმებში: „მემკვიდრეობა" – მთავარი როლის შემსრულებელი და ერთ-ერთი როლის შემსრულებელი ფილმში „ძმა"; ვაჟკაცობის განსახიერება, მრავალი სიკეთის მკეთებელი, სვანეთის კოლორიტი კაცი, ჯაფარიძეების დიდი დინასტიის ღირსეული შვილი

**ლევან (ლეუშა) ჯაფარიძე**

ეს დანაკლისი მძიმეა ჩვენი ოჯახისთვის, როგორც ბიძაშვილისა და სვანეთის ღირსეული კაცის.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი**
**5 აგვისტო**

08.00 ან./ფ "ანიმალია" 09.00 "ეს საქართველოა" 09.30 "სადილის დრო" 10.00 ტ/სერ. **"ბედისწერის ანრდილი"** 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 13.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 14.30 "საუკუნის პორტრეტები" 15.00, 20.30 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 16.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 მხ/ფ. **"არჩევანი"** (ჟ.ბისე) 19.00 "სიტყვების თამაში" 19.30 "ცეკვა საქართველოსთან" 22.00 მხ/ფ. **"გულები"** 00.00 მხ/ფ. **"მერკური საფრთხეშია"** (ა.ბოლდუინი) 02.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 11.00 დ/ფ "ბრინჯის მფლობელები" 12.00 მხ/ფ **"ოპერაცია მფრინავი"** 3-4 სერ. 16.00 დ/ფ "ვისკის საიდუმლო" 18.00 დ/ფ "შტაინერების ოჯახი" 20.00 "მოამბე" (5 ენებზე) 21.30 ქართული დოკუმენტალისტიკა – იქ სადაც იწყება ზღვა 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ **"ბოლეინის კიდევ ერთი ასული"** (ნ.პორტმანი)

08.00 სერ.**"მერლინი"** 3 სერ. 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ.**"კარმა"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.20, 02.25 ქრონიკა 11.20 სერ.**"ბოშა ქალი"** 12.30 სტუმრად იუმორინასთან 13.30 ერთხელ საქართველოში 14.40, 15.55 სერ.**"ორი ბედი"** 17.35 სერ.**"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ.**"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ.**"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2"** 3 სერ. 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ **"ლუინ დევისის შიგნით"** (ქ.მალიგანი) 01.30 სერ.**"კამორას კლანი"** 10 სერ. 02.20 მხ/ფ **"თავშესაფარი"** (ჯ. რ. მეიერსი) 04.10 მხ/ფ **"მითი"** (ჯ.ჩანი)

06.30 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 "ნანუკას შოუ" 23.55 გააცინე და მოიგე 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

6.10 მუს.პაუზა 6.15 დროის ჩანაწერები 7.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 7.10 თვენი 7.30 ჩვენი ფონდი "მეუფე ანანია-ქართველთა დენაციონალიზაციის საკითხისათვის" . გვანცელაძე 8.00 დილის ლოცვა 8.20 სახარება 8.25 მუს.პაუზა 8.30 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 ბავშვები მუზეუმში 9 11.35 დოკ.ფილმი 12.10 ღია აუდიტორია-მანანა ფხაკაძე 2 ნაწ 13.00 ისტორიის გაკვეთილი-პანთურქიზმის საშიშროება 13.30 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 14.00 დოკ. ფ. "ბარტ ვულფი" 14.30 ქრისტიანული სწავლება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 კონცერტი 16.20 დოკ.ფ. "მიწის სჯული" 16.50 კვირიაკე 18.10 მულტ. ფილმი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ **"რაჭა ჩემი სიყვარული"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის საზღვრები" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი "მარიკა და გიგა ლორთქიფანიძეები წინაპრებზე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი 23.35 დოკ. ფ. 0.30 საგუშაგო კოშკი-იელოვას მოწმეები

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"ნასძარი"** 8.30 **სერიალი "კარმა"** 10.00**სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.35 **სერიალი "დაკარგული დრო** 15.35 გადაცემა "თქვენი გადახდილია" 16.00 **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** 18.30 დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" 19.00 **სერიალი "მერცხლის ბუდე"** 20.00 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "მჟნოსავი"** 23.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 0.30 **სერიალი "კარმა"** 2.00**სერიალი "ქუზეი და გუნეი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 აგვისტო


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2716 | ევრო — 2.4888 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5421 | 100 რუსული რუბლი — 3.6348 |

**ამინდის პროგნოზი 5 აგვისტოსათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეილა აბაშიძე 86 წლისაა



ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდა ლეილა აბაშიძე 86 წლისაა. მსახიობი ქართულ ხელოვნებაში გამორჩეული პერსონაა. მის მიერ განსახიერებული გმირები მაყურებლის მეხსიერებაში დიდხანს რჩება და წლების შემდეგაც დაუვიწყარია.

„ქაჯანა“, „ჭრიჭინა“, „აბეზარა“, „შეხვედრა წარსულთან“, „აკაკის აკვანი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „მაია წყნეთელი“, „ხევისბერი გოჩა“, „შეხვედრა მთაში“ – ეს იმ ფილმების მცირე ჩამონათვალია, რომლებშიც მსახიობს მონაწილეობა აქვს მიღებული.

მსახიობის ცხოვრებას მუდამ გასდევს ტკივილიანი ეტაპები. პირველი ადგილი ამ გრძელ სიაში მამის 1937 წელს დაპატიმრებას, გადასახლებასა და დახვრეტას უკავშირდება. მსახიობი ამ ამბავს ასე იხსენებს:

– მამა, რომელიც რუსეთში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა და გადაასახლეს. დედა, იმისათვის, რომ მეუღლესთან ახლოს ყოფილიყო და ენახა, მედმუშაკად წავიდა ციმბირში და თან წამიყვანა. მე და დედამ რეპრესირებული ოჯახის წევრი მხოლოდ ციხის გისოსებს მიღმა ვნახეთ, ახლოს მისვლა არ შეიძლებოდა, გვეკრძალებოდა და მხოლოდ შორიდან ვესალმებოდით ერთმანეთს. იყო გახლართული მავთულები, სადაც 220 ვოლტი დენი გადიოდა, ვერ მიეკარებოდი. იქვე დედამ ერთი ადგილი იცოდა, დადგებოდა და შორიდან შეუმჩნევლად დაუქნევდა ხელს მამას, ისიც ჩუმად მიესალმებოდა. მე პატარა ვიყავი, დავიმახსოვრე ის ადგილი, გავძვრებოდი-გამოვძვრებოდი ყოველდღე, მივიდოდი. იქ, ხან სიგარეტს გადავუგდებდი მამას, ის გამომხედავდა ასე მადლიანი თვალებით და მხოლოდ ეს იყო ჩვენი შეხვედრები.

მამამ, რომელიც ბუნებით ხელოვნების მოყვარული კაცი იყო, მოიფიქრა კონცერტი ტუსაღებისათვის. ციხეში პატიმრებისათვის გამართულ კონცერტზე გამოვდიოდი და მთელი შთაგონებით ვკითხულობდი ლექსს ლენინზე. ისე განვიცდიდი სიტუაციას, რაც ჩვენ გარშემო იყო, რომ მთელ განცდებს ვაქსოვდი ამ ლექსში. იქ ბევრი ქართველი იყო, რა თქმა უნდა,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# 4 აგვისტოდან!

**„ახალ თაობასთან“ ერთად**

## სამხილი „მარლბოროს“ კოლოფზე

**ქართული დეტექტივის მე-11 ტომი**




# უეფამ „დინამო“ დასაჯა




უეფას სადისციპლინო კომიტეტმა თბილისის „დინამო“ დასაჯა. სანქციის ზომა ასეთია – „დინამო“ ჯარიმის სახით 20.000 ევროს გადაიხდის და ევროთასებზე გასამართავი უახლოესი მატჩისას ფანების („გლადიატორების“) სექტორი ცარიელი იქნება.

რადგან „დინამო უკვე აღარ მონაწილეობს ევროთასებზე, სანქცია იმ სეზონში ამოქმედდება, როდესაც კლუბი ევროტურნირის საგზურს მოიპოვებს.

სანქცია ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს აზერბაიჯანულ „გაბალასთან“ ევროპალიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის დროს მომხდარი ინციდენტის გამო დააკისრა.

ამ შეხვედრის დროს „დინამოს“ გულშემატკივრებმა აზერბაიჯანის დროშას შეურაცხყოფა მიაყენეს. გარდა ამისა, ფანების სექტორზე გადმოფენილი იყო ბანერი, სადაც აზერბაიჯანის ტერიტორია ნაჩვენები და მოხსენიებული იყო საქართველოს ფარგლებში.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



# ქართველი კარიკატურისტი საერთაშორისო კონკურსში მეორე ადგილზე გავიდა

ქართველი მხატვარი და კარიკატურისტი ბესიკ დულაშვილი კარიკატურისტთა საერთაშორისო კონკურსზე მეორე ადგილზე გავიდა. მხატვარმა მონაწილეობა მიიღო ვიტიგრაფის კონკურსში, რომელიც მსოფლიო კარიკატურისტებს აერთიანებს. 13-მა კარიკატურისტმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ცნობილი ამერიკელი მსახიობის ტომ სავინის კარიკატურა შექმნა.

ჟიურისა და ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, პირველ ადგილზე ამერიკელი კარიკატურისტი გავიდა, მეორე ადგილი ქართველს ერგო, მესამე საპრიზო ადგილი კი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა დაიკავა.

ინფორმაცია გამარჯვების შესახებ ბესიკ დულაშვილმა თავად გაავრცელა:

– ამ ეტაპზე მაპატიეთ, მხოლოდ მეორე ადგილი ავიღე!

ბესიკ დულაშვილი სისტემატურად მონაწილეობს ვიტიგრაფის კონკურსში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის კარიკატურისტები არიან გაერთიანებული. სწორედ მისი ინიციატივით, ვიტიგრაფის ერთ-ერთი საკონკურსო ტური ქართული თეატრისა და კინოს თვალსაჩინო წარმომადგენელს სერგო ზაქარიაძეს მიეძღვნა, სადაც ქართველმა კარიკატურისტებმა ბესიკ დულაშვილმა და კემომ პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს.

# რეზო გიგინეიშვილი თვითმფრინავის ბიჭებზე ფილმს იღებს



რუსეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორი რეზო გიგინეიშვილი თვითმფრინავის ბიჭებზე ფილმს იღებს. ქართულ ფილმს „მძევლები“ ერქმევა და მასში ასახული იქნება თვითმფრინავის გატაცების ისტორია. გადაღებებისთვის ადგილები შეირჩა კურორტ წყალტუბოში, სადაც გადაიღებენ გეგა კობახიძის ქორწილსა და სხვა პატარა ეპიზოდებს. გადამღებმა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, ფილმში ქუთაისის თეატრის მსახიობები დააკავოს. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

1983 წელს მომხდარი სამგზავრო თვითმფრინავის გატაცების მცდელობა მხატვრულ ფილმად იქცევა. „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმე წლებია, მოსვენებას არ აძლევს საზოგადოებას. ეს ისტორია მწერლების, რეჟისორების, მსახიობებისა თუ რიგითი ადამიანების თანმდევი შემზარავი ამბავია.

მწერალმა დათო ტურაშვილმა ამ ისტორიაზე წიგნი დაწერა და მას „ჯინსების თაობა“ უწოდა. მისი ნაწარმოები რეჟისორმა დავით დოიაშვილმა სპექტაკლად აქცია და უკვე წლებია, თავისუფალ თეატრში სრული ანშლაგით მიმდინარეობს. დავით დოიაშვილს სწორედ ამ სპექტაკლთან დაკავშირებით მოუვიდა უთანხმოება მარჯანიშვილის თეატრის მაშინდელ ხელმძღვანელობასთან. სპექტაკლის თეატრში დადგმაზე უარის მიღების შემდეგ რეჟისორმა მარჯანიშვილის თეატრი დატოვა და განაცხადა, სულ რომ ქუჩაში მომიწიოს ამ სპექტაკლის დადგმა, მაინც განვახორციელებო. შემოქმედებით ჯგუფს სცენა თავისუფალმა თეატრმა დაუთმო და წლებია, ამ თეატრის სცენაზე თვითმფრინავის ბიჭები ცოცხლდებიან.

ახალგაზრდა რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ კი გადაწყვიტა, თვითმფრინავის ბიჭებზე მსოფლიო მასშტაბის ფილმი გადაეღო და მასში ქართველ მსახიობებთან ერთად ჰოლივუდის ვარსკვლავებიც დაეკავებინა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# იუმორი

– ალო, უშიშროებიდან გირეკავთ!

– დიახ, ვიცი.

– საიდან?

– გამორთულ მობილურზე დამირეკეთ.

●●●

წარწერა მუნიციპალურ ტრანსპორტში:

„პატივცემულო მგზავრებო! გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ხანში შესულ ადამიანებს – პენსიონერებს, ასევე მოსწავლეებს, ინვალიდებს, ყველას, ვინც შეღავათიან ფასში ან უფასოდ მგზავრობს ტრანსპორტში და, სხვათა შორის, თქვენს ხარჯზე“...

●●●

გაცნობის ბიუროში:

– გისმენთ, რო[illegible] აირჩევთ? მონაცემები გვიკარნახეთ.

– 20-30 წლის, სიმაღლე 175 სანტიმეტრი, 90-60-90-ზე, ქერა...

– უკაცრავად, თქვენ 55 წლის ხართ, 165 სანტიმეტრი სიმაღლის, ცოტა ლიპ[illegible]იც, თქვენი მატერიალური [illegible]გომარეობაც არც ისე სახარბიელოა და... იქნებ ცოტა დაბალი შეგერჩიათ?

– არა!

– მაშინ, იქნებ, ზომები შევცვალოთ...

– არავითარ შემთხვევაში!

– მაპატიეთ, მაგრამ ასეთი მონაცემებით მხოლოდ სულელი თუ დათანხმდება თქვენს ცოლობას...

– არა უშავს, იყოს სულელი!..

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, მამიკო, ეს ამხელა მუცელი ლუდისგან გაქვს?

– დაიმახსოვრე, შვილო, საქმე თანდებულებშია – ლუდისგან კი არა, ლუდისთვის.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ დაბადების დღიდან კაზინოში ჩემი 10.000-დოლარიანი მანქანით წავედი.

– მერე, რა ქენი?

– იქიდან 20.000-დოლარიანი ყვითელი ავტობუსით წამოვედი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 2. ძმარმჟავა მარილი; 3. ფრანგი შანსონიე ქალი; 4. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 5. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 10. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 11. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებისა და ჰოლანდიის „ვიტესის“ ფეხბურთელი; 12. ჭაბურღილიდან წყლის, ნავთობის ამოსაქაჩი პნევმატური მოწყობილობა; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ჭაობში ბინადარი სისხლისმწოველი ჭია; 20. ყავის მოსადუღებელი სახელურიანი სპილენძის ჭურჭელი.

**თარაზულად:** 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 8. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 9. წყლის რაოდენობა, რომელსაც იძლევა წყარო დროის ერთეულში; 13. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. უდაბნო აფრიკაში; 18. ქართველი მხატვარი; 19. კუთხე საქართველოში; 21. მაღალყელიანი ტყავის ფეხსაცმელი; 22. დაბალი ხმით მღერა; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია“.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

